პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 250 (9718) | ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — როგორ მოვაწყეთ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა (მე-2 გვერდი).
ეკონომიურ თემაზე. — თვითღირებულება საწარმოს მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა. — როცა ქალთა შრომას სათანადოდ არ იყენებენ (მე-2 გვერდი).
სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის! — ცხვარი კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე (მე-3 გვერდი).
საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა. — მექანიზაციის [illegible] ნაური პოზიცია. ზამთრის მოახლოებას [illegible] (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მესამე მსოფლიო [illegible] (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია (მე-4 გვერდი).
უშიშროების საბჭოში (მე-4 გვერდი).
მკითხველთა დასახმარებლად. — ვინ არიან ლობისტები? (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

გამოვასწოროთ ჩამორჩენა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში

სოფლის მეურნეობას შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა კულტურების მოსავლის სწრაფად აღებას და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა თავის დროზე შესრულებას.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში ეს სამუშაოები შარშანდელთან შედარებით წარმატებით სრულდება. მაგრამ ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სამარცხვინოდ ჩამორჩება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის შესრულება, განსაკუთრებით მატყლის დამზადება.

ოფიციალური ცნობებით 10 ოქტომბრისათვის მატყლის დამზადების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო მხოლოდ 79 პროცენტით, ხორცისა — 67,2, რძისა — 80,4 პროცენტით. რაც შეეხება ხორცის სახელმწიფო შესყიდვის გეგმას, ის შესრულებული იყო იმავე რიცხვისათვის 45 პროც., ხოლო რძისა — 14,3 პროცენტით.

რით უნდა აიხსნას მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა?

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ზოგიერთ რაიონში დღემდე მთელი პასუხისმგებლობის გრძნობით არ არის მოწყობილი ნამდვილი ბრძოლა სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისათვის; ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ იმისათვის, რათა აუცილებლად შესრულდეს თვითეული კოლმეურნეობისათვის დადგენილი მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმა; ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ არ ჩასდგომიან სათავეში მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მშრომელთა ფართო მასებში ღრმად განმარტებასა და მტკიცე ბრძოლას მათი განუხრელად განხორციელებისათვის.

ყოვლად სამარცხვინო მდგომარეობაა მატყლის დამზადების გეგმის შესრულების მხრივ ადიგენის, ასპინძის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, თეთრი წყაროს და კასპის რაიონებში. ამ საქმეში მნიშვნელოვანწილად ჩამორჩებიან თვით მატყლის დამზადების ისეთი გადამწყვეტი რაიონები, როგორიც არიან წითელწყაროს, ყაზბეგის, სიღნაღის, დუშეთის, მარნეულის რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები რატომღაც ცდილობენ გეგმის შესრულება მაინცდამაინც გადაიტანონ წლის უკანასკნელი თვისათვის, თითქოს არ შეიძლებოდეს მისი ვადამდე განაღდება. რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი პრაქტიკა წარმოშობს „იერიშობანას“, რასაც საერთო არაფერი აქვს კომუნისტური მეთოდით მუშაობასთან.

ცუდად არის მოწყობილი მთელ რიგ რაიონებში ხორცისა და რძის დამზადება და შესყიდვა. მაგალითად, კაჭრეთის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ვანის, ზუგდიდის, ხაშურის, წყალტუბოს, წალენჯიხის რაიონებს, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს სერიოზული გარღვევები აქვთ ხორცისა და რძის დამზადების გეგმათა შესრულებაში. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ აღნიშნული რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობაში ოდნავი აჩქარებაც კი არ იგრძნობა სახელმწიფო დავალებათა დროული შესრულებისათვის, ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებასა და შესყიდვაში არსებული სერიოზული ჩამორჩენა იმასაც მოწმობს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელები თვითდინებამდე ეშვებიან, ფიქრობენ რა იმას, რომ თითქოს, პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგად კოლმეურნეობების, მტს-ბის, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეებისათვის, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გაწეული დიდი დახმარება და შეღავათები თავისთავად უზრუნველყოფენ გეგმების შესრულებას. მსგავსი განწყობილებანი მავნე და საშიშია.

„შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, — აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში, — რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა თვითდინებით წავა; მატერიალური პირობები და შესაძლებლობანი, რომლებიც იქმნება სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, თავისთავად ვერ მოგვცემს საჭირო ეფექტს, თუ არ გაუმჯობესდა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. ამ შესაძლებლობათა და პირობათა გამოსაყენებლად პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მასებს და წაიყვანონ ისინი სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებას“.

მშრომელთა ფართო მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით უნდა ხასიათდებოდეს ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების, თვითეული კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. ხოლო ამ მუშაობის შეფასება უნდა ხდებოდეს არა იმის მიხედვით, თუ რამდენი ლექცია, მოხსენება ან საუბარი მოეწყო მასებისათვის, არამედ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმათა ვადაზე ადრე შესრულების მიხედვით.

სახელმწიფო გეგმა კანონია და ის უსიტყვოდ უნდა სრულდებოდეს!

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა უმოკლეს დროში უზრუნველყონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საქმეში არსებული ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორება, პარტიისა და მთავრობის გეგმურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოს **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეს ორდენი **„გმირი დედა“** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ბასილაძეს** სანიე ოსმანის ასულს — მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ქედის რაიონი.

2. **კრტიანს** სირანუშ ხაჩატურის ასულს — შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ახალციხის რაიონი.

3. **მამედოვას** ხანუმ სულთან პირმამედ ყზის — დიასახლისს, გარდაბნის რაიონი.

4. **პაშაევას** აბჰარ ჰასან ყზის — ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, მარნეულის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 20 ოქტომბერი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

ბაღებში ხეხილი ყოველ წელიწადს ისხამს

 КРАСНОДАРИ, 20 ოქტომბერი. (საკდესი). კუბანის ერთ-ერთი უდიდესი კოლმეურნეობის — კრასნოარმეისკის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის ბაღებსა და ვენახებში მთავრდება მოსავლის აღება.

თვითეულ ჰექტარ ბაღში ერთნახევარჯერ მეტ ხილს იღებენ, ვიდრე დაგეგმილია. ბაღებისა და ვენახებისაგან კოლმეურნეობის შემოსავალმა 5.300 ათას მანეთს მიაღწია, რაც მთელი ფულადი შემოსავლის დაახლოებით ორ მეხუთედს შეადგენს. შარშან კოლმეურნეობამ მებაღეობისა და მევენახეობისაგან 4,5 მილიონი მანეთი მიიღო, საერთო შემოსავალი კი 10 მილიონი მანეთი იყო.

სასოფლო-სამეურნეო არტელმა ეს წარმატებანი მოიპოვა მეხილეობაში კომპლექსური მექანიზაციისა და მაღალი კულტურის დანერგვის მეოხებით. აქ იყენებენ ხეხილის გასხვლის ახალ მეთოდებს, ნიადაგის გაპატივებისა და დამუშავების ახალ კომპლექსს, მავნებელთაგან დაცვის უფრო ეფექტიან საშუალებებს.

მეხილეობის კულტურის ზრდისა და სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის მეოხებით ბაღებისა და ვენახების ყოველ წელიწადს მოსხმას მიაღწიეს აგრეთვე საბჭოთა მეურნეობა „აგრონომმა“, მ. გორკის სახელობის გიგანტმა ბაღმა, სლავიანსკის, კრასნოარმეისკის, გელენჯიკისა და ყუბანის მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა.

სტალინგრადელ ჰიდრომშენებელთა ქალაქში

ВОЛГУШКИ, (**სტალინგრადის ოლქი**), 20 ოქტომბერი. (საკდესი). ფართოდ გადაშლილა ახალი ქალაქის ვოლგუსკის უბნები. ახლა იგი ვეებერთელა სამშენებლო მოედანს მოგვაგონებს. ყოველდღე დგებიან მწყობრში ახალი საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები.

ამ დღეებში ვოლგუსკის ახალგაზრდა მცხოვრებლებმა 7-წლიანი სკოლის მშვენიერი შენობა მიიღეს. ეს მეოთხე სკოლა გაიხსნა ქალაქში.

მშენებლებს გაცხარებული მუშაობა აქვთ. სანამ ზამთარი დადგებოდეს, საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ადმინისტრაციული შენობები, დაამთავრონ საავადმყოფოთა ქალაქის მშენებლობა, ქუჩების, მოედნების კეთილმოწყობა.

კომგაინერ ექვთიმე კომპანიეცის ძვირფასი თაოსნობა მოწონებულია

ШЧОРСКИ (დნეპროპეტროვსკის ოლქი). (საკდესი). 16 ოქტომბერს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს კომისიამ დაამთავრა კომბაინ „სტალინეც—6“-ის გამოცდა. კომბაინს გაკეთებული აქვს სიმინდის მოსავლის ასაღები სამარჯვი. აგრეგატი გადააკეთა ბოყედაროვკის მტს-ის წარჩინებულმა კომბაინერმა ე. კ. კომპანიეცმა. კომისიის თავმჯდომარემ, სამინისტროს გამომგონებლობის განყოფილების უფროსმა ამხ. შევკომ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— დიდმნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც სოფლელმა გამომგონებელმა კომბაინში შეიტანა, საშუალებას გვაძლევს მთლიანად მოვახდინოთ სიმინდის აღების შრომატევადი სამუშაოს მექანიზაცია. მანქანა, რომელსაც გაკეთებული აქვს ამხ. კომპანიეცის სამარჯვი, ჭრის ღეროს, აცლის ტაროს და აქუცმაცებს ღეროს სასილოსედ.

წარჩინებულმა მექანიზატორმა უკვე აიღო 50 ჰექტარი მოსავალი და მიიღო ათას ცენტნერზე მეტი სიმინდი და 300 ტონაზე მეტი სასილოსე მასა. აგრეგატის დღიური წარმადობა რვა ჰექტარამდე ადიოდა. იგი 100 კოლმეურნის შრომას ასრულებს.

წარჩინებული კომბაინერის თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ოლქის მექანიზატორებმა.

ვაჭრობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვში დამთავრდა ვაჭრობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. 20 ოქტომბერს თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა.

სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის ამხ. ა. ი. მიქოიანის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა 47 კაცი.

თათბირის მონაწილენი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ პარტიამ და მთავრობამ შექმნეს ყველა პირობა საქონელბრუნვის სწრაფად და მნიშვნელოვნად გაფართოებისათვის, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ მათთვის დაკისრებული საპატიო ამოცანა — უზრუნველყონ საბჭოთა ვაჭრობის მკვეთრი აღმავლობა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა სერიოზულად გააკრიტიკეს სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციის, საქონელბრუნვის დაგეგმვის, მომხმარებლის მომსახურების ნაკლოვანებანი. მოყვანილი იყო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების მიერ მომხმარებლის მოთხოვნილების უგულებელყოფის, დაბალი ხარისხის საქონლის გამოშვების, საქონლის დაწესებული ასორტიმენტისა და გაგზავნის ვადების დარღვევის, მოსახლეობისათვის საჭირო ზოგიერთი ნაწარმის გამოშვების შეწყვეტის, წარმოებაში ახალ სახეობათა საქონლის ნელა დანერგვის ფაქტები. სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ დღემდე ხშირად იღებენ სამრეწველო საწარმოებისაგან არაკეთილხარისხოვან, მომხმარებლისათვის არასაჭირო საქონელს.

დიდი ყურადღება მიექცა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, საწყობების, მაღაზიების, სასადილოების ფართო მშენებლობის, სავაჭრო ქსელის სწორად განლაგების, მისი მოწყობილობით აღჭურვის საკითხებს, აგრეთვე მაღაზიებისა და სასადილოების მუშაკთა შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებს.

საქონელბრუნვის შემდგომი განვითარებისა და ვაჭრობის უკეთ ორგანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებისათვის თათბირზე ჩამოყალიბდა რამდენიმე სექცია — საქონელბრუნვის დაგეგმვის, სოფლად ვაჭრობის, საკოლმეურნეო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საბითუმო ვაჭრობის, კადრებისა და სხვა საკითხთა სექციები.

თათბირის მონაწილეებმა შეიტანეს ბევრი პრაქტიკული წინადადება საქალაქო და სასოფლო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, საბჭოთა ვაჭრობის კულტურის ამაღლების დარგში.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა. (საკდესი).

ახალი ტექნიკა—სოფლის მეურნეობას!

ჩითილსარგავი მანქანა „სრნ-4“



დამთავრდა პამიდორის, კომბოსტოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩითილების კვადრატულ-ბუდობრივი წესით სარგავი ოთხმწკრივა აგრეგატის „სრნ-4“ გამოცდა. ახალი მანქანის საცდელი ნიმუში გამზადდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მოსკოვის ექსპერიმენტული ქარხნის საამქროებში. მისი შექმნისათვის გამოყენებულია გამომგონებელ ა. ნედაშკოვსკის მიერ წარმოდგენილი სქემა.

ჩითილსარგავ მანქანას ჰკიდებენ ტრაქტორ „ბელარუსზე“, რომელიც მოძრაობს მინდვრად გაჭიმული მავთულის გასწვრივ. გაჭიმული მავთულის კვანძები, რომლებიც განლაგებულია 60-70 სანტიმეტრ მანძილზე, ამოძრავებენ მანქანის სარგავ აპარატს, რომლის ფრთებზეც მიმაგრებულია ლითონის კალათები. ამ მანქანაზე მჯდომი 4 მუშაქალი აწყობს ამ კალათებში ტორფნეშომპალიან ქოთნებს ჩითილებით. ლილვი ბრუნავს და ჩითილებიანი კალათები ეშვება სახნისებში, რომლებსაც მიწაში გაჰყავთ 10 სანტიმეტრი სიღრმის ოთხი პარალელური კვალი. სპეციალური ბერკეტი აღებს კალათების ფსკერს და ოთხი ქოთანი ერთსა და იმავე დროს ნელა ეშვება კვლებში ერთმანეთისაგან 60-70 სანტიმეტრ მანძილზე. მანქანის სპეციალური ნაწილი კვლებში ყრის მიწას, ხოლო სათრიელები ასწორებენ ნიადაგს.

სანამ ჩითილიანი ქოთნები მიწაში ჩაეშვებოდეს, კვლებს ასხამენ მინერალურ სასუქთა ხსნარს. ეს ხსნარი მოდის შლანგებით ტრაქტორზე დადგმული ორი ავზიდან. თვითეული ავზის ტევადობა 300 ლიტრს უდრის.

მანქანა შესაძლებლობას იძლევა ჩითილი დაირგოს ტორფნეშომპალიანი ქოთნების გამოუყენებლადაც. კალათების ნაცვლად სარგავი აპარატის ფრთებს უკეთდება განსაკუთრებული მომჭერები. რბილი საჭერი იღებს ჩითილის ღეროებს და უშვებს კვლებში.

კრასნოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „სხივში“ წარმოებულმა გამოცდებმა კარგი შედეგები მოგვცა. მანქანის მომსახურე 12 კაცმა ათი საათის განმავლობაში ორ ჰექტარზე დარგო 44 ათასამდე ჩითილი. ჩითილის ასეთი რაოდენობის ხელით დარგვისათვის საჭიროა 50 კაცი. ახალი სარგავი რეკომენდებულია სერიული გამოშვებისათვის. (საკდესი).

სურათზე: ჩითილსარგავი მანქანა „სრნ-4“ და ტრაქტორი „ბელარუსი“ საცდელ ნაკვეთში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის 36 წლისთავის აღსანიშნავად

ბუდაპეშტი. (საკდესი). უნგრეთის სამრეწველო საწარმოებში, შახტებში, მტს-ებსა და სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXVI წლისთავის აღსანიშნავად.

შეჯიბრებაში დიდი წარმატებანი მოიპოვეს ტატაბანის ქვანახშირის ტრესტის მეშახტეებმა. კოშუტის სახელობის პრემიის ლაურეატმა მნგრეველმა ანდრეშ ტაიკოვმა ვალდებულება იკისრა ყოველდღე სულ ცოტა ორი ნორმა გამოიმუშაოს. ტაიკოვი პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებას. მან ოქტომბრის პირველ 9 დღეში 23 ცვლის ნორმა შეასრულა. ფერენც პანცალას ბრიგადამ ვალდებულება იკისრა დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით ამოიღოს 3 ათასი ვაგონეტი ქვანახშირი. ბრიგადა დიდი გადაჭარბებით ასრულებს თავის ვალდებულებას. მან მარტო ერთ დღეს, 9 ოქტომბერს, დავალების გადამეტებით ამოიღო 566 ვაგონეტი ქვანახშირი.

შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს გეორგიუ-დეჟის სახელობის გემთმშენებელი ქარხნის ხარატებმა. ხარატმა შანდორ რიანაკმა გამოიყენა ლითონის ძალისხური ჭრის მეთოდი, რაც საბჭოთა ნოვატორმა ვ. კოლესოვმა შეიმუშავა, და ნორმას ასრულებს 250-300 პროცენტით. კოლესოვის მეთოდით მუშაობს ქარხნის ბევრი ხარატი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებათა შესახებ იტყობინებიან აგრეთვე უნგრეთის სხვა დიდი საწარმოები, მტს-ები და სახელმწიფო მეურნეობები.

ბულგარეთის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

სოფია. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობა, რომ ამ დღეებში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა და ერთსულოვნად მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ, ეყრდნობარა საერთო სამეურნეო განვითარებაში და განსაკუთრებით ბულგარეთის ინდუსტრიალიზაციაში მიღწეულ წარმატებებს, იმას, რომ საჭიროა უახლოეს წლებში მკვეთრად ამაღლდეს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია გადიდდეს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი სოფლის მეურნეობაში მეორე ხუთწლედში სულ ცოტა ერთიორად პირველი ხუთწლედის კაპიტალდაბანდებებთან შედარებით.

დადგენილება სახავს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უზარ მოსავლის უზრუნველყოფის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებისა და შრომითი კოოპერაციულ-სამეწარმოო-მეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების კონკრეტულ ღონისძიებებს. დიდი ყურადღება მიექცევა მიწათმოქმედების სამინისტროს, მისი ორგანოებისა და სახალხო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, აგრეთვე სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სამრეწველო მშენებლობა ალბანეთში

ტირანა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ალბანეთის დუპეშათა სააგენტო იუწყება, ამ დღეებში ალბანეთში მწყობრში ჩადგა შალის ქსოვილების ახალი ფაბრიკა და ბამბის ახალი ძაფსართავი ფაბრიკა.

მშრომელი გლეხობისათვის ზრუნვა რუმინეთში

ბუქარესტი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ მიწამცირე გლეხებსა და მთელ რიგ კოლექტიურ სასოფლო მეურნეობებს საკუთრებად გადაეცეს სახელმწიფო რეზერვიდან მიწის სავარგულები 448 ათასი ჰექტარი საერთო ფართობით.

საქალაქო ტრანსპორტის განვითარება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიაში დიდი ყურადღება ექცევა საქალაქო ტრანსპორტის განვითარებას. პრაღაში, ოსტრავაში, ბოტვალდოვში, პლზენში, მოსტსა და სხვა ქალაქებში ამ უკანასკნელ ხანს გაყვანილ იქნა ათობით კილომეტრი ტრამვაისა და ტროლეიბუსის ახალი ხაზები.

1945-დან 1953 წლამდე პრაღის ტროლეიბუსის ქსელი თითქმის 11-ჯერ გადიდდა. ახლა პრაღის ყველა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონი ტროლეიბუსის ხაზით დაკავშირებულია მის ცენტრთან. მნიშვნელოვნად გადიდდა ტრამვაის პარკიც.

ამჟამად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დედაქალაქში საძიებო სამუშაოები მიმდინარეობს მეტროს მშენებლობისათვის.

პარტიული ცხოვრება

როგორ მოვაწყეთ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა

ჩვენმა კოლმეურნეებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია თავის მთავარ მოვალეობად თვლის უნარიანად გაუძღვეს კოლმეურნეებს საარტელო მეურნეობის ახალი აღმავლობისაკენ, დარაზმოს ისანი, რათა ჩვენს ქვეყანას მივცეთ რაც შეიძლება მეტი პური, ბოსტნეული, ხორცი, რძე, კარაქი და სხვა პროდუქტები.

ამ ამოცანის წარმატებით განსახორციელებლად პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეებს სისტემატურად განუმარტავს პლენუმის გადაწყვეტილებებს, მათ მნიშვნელობას. პროპაგანდა რადიოთი პირველი ცნობების მოსმენისთანავე დავიწყეთ. აგიტატორებმა იმავე დღეს მოაწყეს საუბრები პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შეს ხებ. კოლმეურნეებმა განაცხადეს, რომ არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას მათი წარმატებით განხორციელებისათვის.

როცა კოლმეურნეობაში მივიღეთ გაზეთები, სადაც გამოქვეყნებული იყო სექტემბრის პლენუმის მასალები, აგიტატორები შეუდგნენ გაზეთების წაკითხვას ბრიგადებსა და რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში.

პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო აგიტკოლექტივის სპეციალური მეცადინეობა. აგიტატორებს მიეთითათ, რომ კოლმეურნეებს დადგენილება გააცნონ ცალკე განყოფილებების — თავების მიხედვით, ამასთან საუბარი მჭიდროდ დაუკავშირონ ადგილობრივ ცხოვრებას. ამის შემდეგ დაიწყო პლენუმას გადაწყვეტილებათა ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა.

პლენუმის გადაწყვეტილებათა განმარტება და სწავლება კარგად მოაწყო აგიტატორთა ჯგუფმა მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადაში. აქ საუბრებს კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა ესწრება. აგიტატორი არჩილ ორკოდაშვილი ფულდასმით კითხულობს დადგენილების ცალკეულ თავებს, დაწვრილებით განმარტავს თვითეულ მუხლს, ამასთან მოჰყავს ფაქტები კოლმეურნეობის ცხოვრებიდან. საუბრის შემდეგ კოლმეურნეები თავიანთ აზრს გამოთქვამენ, ჩაღდება ცოცხალი საუბარი. კოლმეურნეები აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის.

აგიტატორის მართალი სიტყვა კოლმეურნეთა შორის იწვევს მისწრაფებას უკეთესი მუშაობისაკენ. ამჟამად მეოთხე ბრიგადა თელავის მტს-ის მექანიზატორებთან მტკიცე თანამეგობრობით მაღალხარისხოვნად თესავს ხორბალს. წინა წლებში გოროხიან ნიადაგში თესავდნენ, მისი გაფხვიერებისა და ნიადაგის გასწორებისათვის თავს არ იწუხებდნენ. მწკრივად და ჯვარედინად თესვა არ იყო დანერგილი. ახლა ეს ნაკლი გამოსწორებულია. კოლმეურნეები სიტყვას იძლევიან, რომ პურის მოსავალს 22-23 ცენტნერამდე აიყვანენ.

პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრი გიორგი ბენიძე სააგიტაციო მუშაობას ეწევა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში. აგიტატორმა, როცა იგი მწყემსებს მეცხოველეობის საკითხებზე ესაუბრებოდა, დაასახელა მაგალითები თავიანთი ფერმის მუშაობიდან და განაცხადა:

— ფერმაში 731 სული საქონელი გვყავს, აქედან 160 ძროხა. მართალია, სულადობის გეგმა შესრულებულია, მაგრამ ეს არ კმარა. ნაკლოვანება ბევრი გვაქვს. შარშან თვითეულ ძროხაზე 527 ლიტრი რძე მივიღეთ, გეგმა კი 750 ლიტრს ითვალისწინებდა. ჩამორჩენის შიზეზი ეს არის, რომ პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას უურადღებას არ ვაქცევთ, საქონელს ნორმალურად არა ვკვებავთ. ბაგური კვება ჩვენთან დანერგილი არ არის.

მწყემსებმა მთელი რიგი ნაკლოვანებანი გამოამჟღავნეს და სთხოვეს აგიტატორს, რომ მათ შესახებ კოლმეურნეობის გამგეობისათვის ეცნობებინა. საქმეში აგიტატორის ჩარევის შედეგად კოლმეურნეობის გამგეობამ გააძლიერა მუშაობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. პირველ რიგში საკვებზე უნდა ითქვას. უზენაესი საკვები გეგმის გადამეტებით დამზადდება 9.000 ცენტნერი. კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით აქვს მომარაგებული თივა და სილოსი. მთავრდება საქონლის ბინების რემონტი. მწყემსების ბინებისათვის შეძენილია საწოლები, დაიდგმება რადიომიმღები. მიღებულია ზომები 50 მწყემსისათვის ტანსაცმლის შესაძენად.

ჩვენი კოლმეურნეობა თელავთან ახლოს არის. დიდია ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება ბოსტნეულზე. ჩვენ შეგვიძლია ეს მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ და ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდებით საკოლმეურნეო შემოსავალი საგრძნობლად გავზარდოთ. ამ მიზნით შექმნილია მებოსტნეობის სპეციალური ბრიგადა. წელს ბოსტნეულისათვის გამოყოფილი გვქონდა 17 ჰექტარი ნიადაგი. ამ ბრიგადაში კომუნისტმა აგიტატორმა ზურაბ კირვალიძემ სექტემბრის პლენუმის დადგენილების ირგვლივ საუბარი ასე დაიწყო:

— წელს მებოსტნეობის ბრიგადამ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 146 ცენტნერი ხახვი, 40 ცენტნერი კიტრი, 30 ცენტნერი საზამთრო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ჩვენ არა გვაქვს სათბურები. ამ მიზეზით ადრე გაზაფხულზე ბოსტნეულს ვერ ვაწვდით მოსახლეობას.

საუბრის დროს კოლმეურნეებმა მოითხოვეს საბოსტნე ფართობის გადიდება, სათბურების მოწყობა, ბოსტნის დასამუშავებელი იარაღ-მანქანებით უზრუნველყოფა და სხვ. კოლმეურნეთა საქმიანი წინადადებანი აგიტატორმა ჩაიწერა. ისინი კოლმეურნეობის გამგეობამ განიხილა და სათანადო ღონისძიებანი განახორციელა.

კარგად მოაწყეს მუშაობა აგრეთვე აგიტატორებმა სალომე ბრეგვაძემ, თამარ რაზმაძემ და დარიკო ჭანკვეტაძემ, რომლებიც სისტემატურად აწყობენ საუბრებს პლენუმის გადაწყვეტილებათა ირგვლივ.

მოსახლეობაში პლენუმის გადაწყვეტილებათა ფართო პოპულარიზაციის მიზნით ვიყენებთ პოლიტიკური მუშაობის სხვა ფორმებსაც. ლექტორებმა ნ. მუმლაურმა, გ. ფოთოლაშვილმა და სხვებმა წაიკითხეს ლექციები თემებზე: „სექტემბრის პლენუმის დადგენილება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამაა“, „კომუნისტური პარტიის ზრუნვა კოლმეურნე გლეხობისათვის“, „მეცხოველეობის აღმავლობის უდიდესი ღონისძიებანი“ და სხვ.

სამკითხველოში, სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლში ყოველ საღამოს თავს იყრიან კოლმეურნეები და აყენებენ კითხვებს პლენუმის დადგენილების გარშემო. ამ კითხვებზე ისინი ამომწურავ პასუხს იღებენ მორიგე აგიტატორებისაგან.

მაგრამ ყველაფერი ეს იმ დიდი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის სამეში უნდა გაგწიოთ. გათვალისწინებული გვაქვს ბრიგადებსა და ფერმებში მოვაწყოთ მოხსენებანი დადგენილების ცალკეულ საკითხებზე, თვალსაჩინოებისათვის ვამზადებთ დიაგრამებს, პლაკატებს, მოწოდებებს, გამოვუშვებთ კედლის გაზეთებს და „საბრძოლო ფურცლებს“, თვეში ერთხელ გავმართავთ საკოლმეურნეო აქტივის შეკრებას, სადაც მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ როგორ ხორციელდება პლენუმის გადაწყვეტილებანი. კოლმეურნეთა მიერ წამოყენებული წინადადებები განხილული იქნება პარტიული ორგანიზაციის კრებაზე.

მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებით ჩვენი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებას.

ვ. დათიშვილი,

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი.

ზესტაფონის

ფეროშენადნობთა ქარხანაში

ქარხნის 20 წლისთავი

ქარხნის კოლექტივი ემზადება თავისი საწარმოს საექსპლოატაციოდ გადაცემის 20 წლისთავისათვის, რაც 30 ოქტომბერს სრულდება.

საამქროებსა და ბრიგადებს შორის გაჩაღებულია წინასოციალისტმბრო შეჯიბრება. ძველი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებიც ქარხნის ამუშავების დღიდან მუშაობენ, ეხაუბრებიან ახალგაზრდობას თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ.

კლუბში ეწყობა ქარხნის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. 30 ოქტომბერს შედგება საზეიმო სხდომა.

საავადმყოფოს ახალი შენობა

ქარხნის ძველი საავადმყოფო გადავიდა ახალ კეთილმოწყობილ, ორსართულიან შენობაში. საავადმყოფო შეუვსებულია ახალი ინვენტარით, მნიშვნელოვნად გაზრდილია საწოლების რაოდენობა.

საავადმყოფოს მშენებლობაზე დაიხარჯა 330.000 მანეთი.

ქარხნის მუშათა კლუბში

მილიონნახევარ მანეთზე მეტი დაიხარჯა ძველი კლუბის რეკონსტრუქციისათვის. ამჟამად ქარხანას აქვს ყოველმხრივ კეთილმოწყობილი კლუბის დიდი შენობა, სადაც გაჩაღებულია ფართო კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

კლუბთან მუშაობენ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თვითმოქმედი დრამატული წრე, სიმებიანი და სასულე ორკესტრები, ავიამოდელისტებისა და ხელსაქმის შემსწავლელი წრეები. კლუბს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა.

„საბჭოთა კავშირის ტურისტის“ წოდება

ქარხნის ინჟინრებმა ლ. ცქიტიშვილმა, გ. არაბიძემ და მუშა ა. ენუქიძემ მორიგი შეებჯლება გამოიყენეს ტურისტული ლაშქრობისათვის. მათ სხვა ტურისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ფეხით გადასვლაში მარშრუტით ხოსტა-ტბა რიცა-კრასნაია პოლიანა (კრასნოდარის მხარე), გადალახეს კავკასიონის ქედი და გაიარეს 100 კილომეტრზე მეტი.

ლ. ცქიტიშვილს, გ. არაბიძესა და ა. ენუქიძეს მიენიჭათ „საბჭოთა კავშირის ტურისტის“ პირველი ხარისხის წოდება.

დ. ლილუაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ყურძნის უჩვეულო მოსავალი

გურჯაანი. (საკ. კორ.). წელს გურჯაანელმა მევენახეებმა ყურძნის უჩვეულო მოსავალი მიიღეს.

რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების მიმდინარე წლის გეგმა. მიმღებ პუნქტებს ჩააბარეს 7.900 ტონა ყურძენი, რაც 1.500 ტონით აღემატება გასულ წელს ჩაბარებული ყურძნის რაოდენობას.

სახელმწიფო ვალდებულება ყველაზე ადრე მოიხადეს კარდანახის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა.

გურჯაანელი მევენახეები სეზონის დამთავრებამდე დამატებით 500 ტონაზე მეტ საუკეთესო ხარისხის ყურძენს ჩააბარებენ სახელმწიფოს.

საბჭოთა მშენებლობა

როცა ქალთა [illegible] სათანადოდ არ იყენებენ

ზნაურის რაიონის სოფელ თერეგვანის კოლმეურნეობაში ბევრი ნაკლოვანებაა. კოლმეურნეები არტელის გამგეობისაგან სამართლიანად მოითხოვენ მუშაობის გარდაქმნასა და გამოსწორებას. რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებს ავიწყდებათ, რომ არსებული ნაკლოვანებებისათვის პასუხს აგებს თერეგვანის კოლმეურნეობაში მომუშავე რაიონული საბჭოს დეპუტატი ეკატერინე ჯიოევაც. მას მხოლოდ სესიების დროს თუ გაიხსენებენ. იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებს რაისაბჭოს ორგანიზაციულ მუშაობაში, არ გრძნობს პასუხისმგებლობას კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობისათვის.

გულმავიწყობის, უყურადღებობის ატმოსფეროში თავის უნარს ვერ ავითარებს რაიონული საბჭოს ბევრი სხვა დეპუტატიც. ეს განსაკუთრებით ითქმის დეპუტატ ქალებზე. რაისაბჭოს მუშაობაში რატომღაც დამკვიდრდა მავნე ტრადიცია: საბჭოების საქმიანობაში ნაკლებად ჩაბაან ქალები. ცნობილია, თუ რა დიდი როლი აქვთ დაკისრებული საბჭოების მუდმივ კომისიებს. აქედან გამომდინარეობს ის პასუხისმგებლობა, რომელსაც უნდა გრძნობდეს რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრი, დეპუტატი ქალი მათიკო გაბარაევა. მისთვის კი არავის წაუყენებია ეს მოთხოვნები. და ეს იმ დროს, როცა რაიონი სისტემატურად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გეგმების შესრულებაში, მოსავლიანობა დაბალია, უამრავი ნაკლოვანებებია მეცხოველეობის ფერმებში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ დეპუტატ მ. გაბარაევას რაიმე საკითხი დაეყენებინოს საბჭოს წინაშე.

ასევე მხოლოდ სესიაზე თუ გაიგონებთ რაიონული საბჭოს დეპუტატი ქალების, კოლმეურნეების ი. გაგიევას (სოფელი ველები) და ნ. ოსიტაშვილის (ზნაური) სახელებს. ისინი ესწრებიან სესიას, ხმას აძლევენ გადაწყვეტილებებს, მერე კი თითქოს ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა მათ არ ევალებათ, მორიგ სესიამდე ყველასაგან დავიწყებული არიან.

მუშაობაში დეპუტატ ქალთა ჩაბმის მნიშვნელობის შეუფასებლობა აქვეითებს საბჭოების ორგანიზატორული საქმიანობის დონეს. ამით საბჭოს აღმასკომი კარგავს შესაძლებლობას ქმედითი, ოპერატიული დახმარება გაუწიოს ცალკეულ ობიექტებს ადგილებზე.

ზნაურის რაიონში შვიდი სასოფლო საბჭო შედის. აქედან არც ერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ არ მუშაობს ქალი. სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნებს შორისაც კი მხოლოდ ერთია ქალი. წინა წლებში ქალები უფრო ხშირად გვხვდებოდნენ საბჭოთა სამუშაოზე. მაგრამ არ ხორციელდებოდა ღონისძიებანი მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ზრდისათვის, რამაც გამოიწვია მათი ჩამოშორება ხელმძღვანელი სამუშაოებისაგან.

ქალები სერიოზულ ძალას წარმოადგენენ საკოლმეურნეო წარმოებაში. ამ ძალის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო ამაღლდა ახლა, როცა საკოლმეურნეო სოფლის წინაშე გრანდიოზული ამოცანები დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა. ზნაურში კი დღემდე ცოტა რამ კეთდება იმისათვის, რომ კოლმეურნე ქალები დადგნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. რაიონის ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების მრავალრიცხოვან კოლექტივში ქალები ძლიერ ცოტანი არიან. არავინ ზრუნავს იმისათვის, რომ ქალებში განავითაროს სოფლის მეურნეობისადმი კვალიფიციური ხელმძღვანელობის უნარი. რაიონში 26 კოლმეურნეობაა. აქედან მხოლოდ ერთ კოლმეურნეობაშია ქალი თავმჯდომარედ. მეცხოველეობის 28 ფერმის გამგიდან მხოლოდ ერთია ქალი, რაიონის კოლმეურნეობათა 104 საწარმოო ბრიგადიდან მხოლოდ ერთ ბრიგადას ხელმძღვანელობს ქალი. ამ ფაქტებიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ხელმძღვანელ საკოლმეურნეო სამუშაოზე ქალთა გაბედულად წამოწევას ზნაურში თავს არიდებენ.

საკოლმეურნეო შრომაში ქალის აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის ადგილებზე სათანადო პირობებს არ ქმნიან. ამიტომ რაიონში ასობით კოლმეურნე ქალი (პატარაბავშვებიანი დედები) სისტემატურად ვერ იმუშავებს შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს. სოფელ ბეყმარის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში 32 ქალს არა აქვს გამომუშავებული შრომადღეების მინიმუმი. მათ შორის არიან ქალები, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ალბოროვი არ ზრუნავს, რომ ხელსაყრელი პირობები შექმნას საკოლმეურნეო შრომაში ქალთა აქტიურად ჩაბმისათვის. აქ არასოდეს არ მოუწყვიათ საბავშვო ბაგა. მსგავსი მდგომარეობა რაიონის ბევრ სხვა კოლმეურნეობაშიც.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ საკოლმეურნეო სოფლის წინაშე დაყენებული დიდი ამოცანების შესრულების ინტერესები მოითხოვენ ქალთა შორის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას. საკოლმეურნეო სოფელში მომუშავე ქალებს, ჩვენი სამშობლოს მხურვალე პატრიოტებს, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე შემოქმედებითი ენერგიისა და უნარის სრულყოფილად გამოვლინების ყველა პირობა უნდა შეეუქმნათ.

ვ. გელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეკონომიურ თემაზე

თვითღირებულება საწარმოს მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია

სახალხო მეურნეობის საბჭოთა სისტემა გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონების საფუძველზე ვითარდება. სოციალისტური ეკონომიკა გეგმიანი ეკონომიკაა. სახელმწიფო გეგმა, ემყარება რა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიურ კანონს, მოიცავს მთელს სახალხო მეურნეობას, მის ყველა დარგსა და საწარმოს. თვითეული დარგის, თვითეული საწარმოს ეფექტური მუშაობა სსრ კავშირის განვითარების სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებითი შესრულების საწინდარია.

თვითეული საწარმო დაინტერესებული უნდა იყოს გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებით. ასეთ დაინტერესებას უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დანერგვა და განმტკიცება. სამეურნეო ანგარიში წარმოადგენს სოციალისტური საწარმოების გეგმიანი მართვის მეთოდს და მათი ეკონომიკის შინაგანი ორგანიზაციის ფორმას.

სამეურნეო ანგარიში უშუალოდ დაკავშირებულია თვითღირებულების კატეგორიასთან. პროდუქციის ერთეულზე ცალკეული საწარმოს დანახარჯები აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში. თვითღირებულება ღირებულებითი კატეგორიაა.

ღირებულება პროდუქციის წარმოებაზე გაწეული საზოგადოებრივ-აუცილებელი შრომის გამოხატულებაა. თვითღირებულება ღირებულების, წარმოების საზოგადოებრივი ხარჯების ნაწილია, მოცემული საწარმოს მიერ პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯებია ფულად გამოხატულებაში. თვითღირებულება წარმოადგენს წარმოების პროცესში პროდუქციაზე გაწეული მატერიალური დანახარჯებისა და ხელფასის ჯამს.

კაპიტალიზმის დროს წარმოების ხარჯების კატეგორია გამოხატავს კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ანტაგონისტურ ხასიათს. საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს საზოგადოებრივ-აუცილებელი შრომა. მაგრამ კაპიტალისტს რაც უღირს საქონელი, განიზომება არა შრომის, არამედ კაპიტალის დანახარჯებით. ამიტომ საქონლის ფასის ის ნაწილი, რომელიც ანაზღაურებს წარმოებაში მოხმარებულ მუდმივ და ცვალებად კაპიტალს, წარმოების კაპიტალისტურ ხარჯებს შეადგენს.

სოციალიზმის დროს ლიკვიდირებულია წარმოების იარაღებისა და საშუალებების კერძო კაპიტალისტური საკუთრება, მოსპობილია ადამიანის ექსპლოატაცია და ამ საფუძველზე ზედმეტი ღირებულების კატეგორია. ამიტომ წარმოების ხარჯები წარმოადგენენ შრომის — როგორც გასაგნებულის, ისე ცოცხალის — ერთობლივ საზოგადოებრივ დანახარჯს ღირებულებითს ფორმაში. თვითღირებულება კი პროდუქციის წარმოების საზოგადოებრივ-აუცილებელი დანახარჯების ნაწილია.

პროდუქციის საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების შემადგენელი ელემენტებია:

1. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი დანარიცხებით;
2. წარმოების პროცესში მოხმარებული ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის და სხვ. ღირებულება;
3. ძირითადი ფონდების გაცვეთილი ნაწილის ღირებულება (ამორტიზაცია);
4. საამქრო ხარჯები;
5. საერთო საქარხნო ხარჯები;
6. დანაკარგები წუნისაგან;
7. სხვა ხარჯები.

ხოლო სრულ თვითღირებულების გაანგარიშებისას მათ დაემატება რეალიზაციის ხარჯები.

თვითღირებულება საწარმოს მუშაობის მთავარი, შემაჯამებელი, ხარისხობრივი მაჩვენებელია, თვითღირებულების დონეში როგორც სარკეში აისახება საწარმოო საქმიანობის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე. ყოველი საწარმო სისტემატურად უნდა აცილებდეს პროდუქციის ერთეულზე როგორც ცოცხალი, ისე გასაგნებული შრომის დანახარჯებს.

ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ 1927 წ. აღნიშნავდა: „ძირითადი ხაზი, რომლითაც უნდა წავიდეს ჩვენი ინდუსტრია, ძირითადი ხაზი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი ყველა შემდგომი ნაბიჯი, — ეს არის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების ხაზი, სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების სისტემატური შემცირების ხაზი. ეს არის ის შარაგზა, რომლითაც უნდა იაროს ჩვენმა ინდუსტრიამ, თუ მას სურს განვითარდეს, თუ მას სურს განმტკიცდეს, თუ მას სურს წინ გაუძღვეს სოფლის მეურნეობას, თუ მას სურს განამტკიცოს და გააფართოოს ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი“.

თვითღირებულებაში გამოხატულებას ჰპოვებს მთელი საწარმოს ეკონომიური მოღვაწეობა. თვითღირებულებაში აისახება მისი ორგანიზაციული მუშაობის დონე, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის ხარისხი, წარმოების მართვის ეფექტიურობა. პროდუქციის თვითღირებულება საწარმოს მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია. თვითღირებულების შემცირება ნიშნავს პროდუქციის ერთეულზე საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების, საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას.

თვითღირებულება საწარმოს მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მძლავრი მასტიმულირებელი ბერკეტია. ჯერ-ერთი, საბჭოთა სახელმწიფო ცალკეულ საწარმოს პროდუქციის თვითღირებულების დონის საგეგმო დავალებას რომ აძლევს, თვით საწარმო, რომელიც სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მოქმედებს, დაინტერესებულია შეამციროს როგორც ცოცხალი, ისე გასაგნებული შრომის დანახარჯები. ამით კი იზრდება შინასამრეწველო დაგროვება და იძლება მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნედ და ეფექტიანად გამოყენების გზით, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხარჯების შემცირებით.

თვითღირებულების შემცირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მანქანებისა და მოწყობილობის სწორად გამოყენებას, წარმოების რაციონალურ ორგანიზაციას, სახსრების ბრუნვის დაჩქარებას, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას.

საბჭოთა ადამიანები, ამცირებენ რა თვითღირებულებას, აღწევენ საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის გაფართოებას და ნაციონალური შემოსავლის გადიდებას. ნაციონალური შემოსავლის ზრდა კი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია. ჩვენში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელთა კუთვნილებაა და მათ ხმარდება.

წარმოადგენს რა ნაციონალური შემოსავლის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს, თვითღირებულების შემცირება უშუალო ზემოქმედებას ახდენს როგორც სოციალისტური დაგროვების ფონდის, ისე მოხმარების ფონდის გადიდებაზე. თვითღირებულების შემცირების გზით მიღებული ეკონომია, ზრდის რა ნაციონალურ შემოსავალს, შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა საზოგადოებას განუხრელად აამაღლოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე, სისტემატურად შეამციროს საქონლის ფასები, განახორციელოს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნები. რაც უფრო დაბალია პროდუქციის თვითღირებულება და მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეტი მატერიალური დოვლათის გამოყოფა შეუძლია სოციალისტურ საზოგადოებას საბჭოთა ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა მჭიდროდ უკავშირდება მთელ სახალხო მეურნეობაში მოჭირნეობის რეჟიმის გატარებას. მოჭირნეობის რეჟიმი იყო და რჩება სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს ბერკეტად. მოჭირნეობის რეჟიმის არსი და ძირითადი მოთხოვნა ის არის, რომ ყველა ჩვენი ღონისძიება წარმართოთ წარმოების შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის, უზრუნველვყოთ მათი მიზნობრივი გამოყენება სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

როგორც ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე აღნიშნა, ბევრ სამეურნეო ხელმძღვანელს ავიწყდება თვითღირებულების შემცირების, რენტაბელობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხები. არარენტაბელური სამრეწველო საწარმოების ზარალმა 1952 წელს 16 მილიარდი მანეთი შეადგინა. მნიშვნელოვანი ზარალი ჰქონდათ არარენტაბელურ საწარმოებს 1953 წლის პირველ ნახევარშიც.

თბილისის აბრეშუმსაქსოვმა თაბრიკამ მიმდინარე წელს საგრძნობ წარმატებებს მიაღწია თვითღირებულების შემცირების საქმეში. 1953 წლის 8 თვის განმავლობაში თვითღირებულება 1.090 ათასი მანეთით შემცირდა გეგმასთან შედარებით. მიუხედავად ამისა, საერთო-საფაბრიკო ხარჯებში 585 ათასი მანეთი გადაიხარჯა. თვითღირებულების შემცირების მაჩვენებლები ფაბრიკას უკეთესი ექნებოდა, სამღებრო-გამომყვან წარმოებას გეგმა რომ შეესრულებინა.

ფაბრიკამ მიმდინარე 8 თვის საწარმოო გეგმა მხოლოდ 94,1 პროცენტით შეასრულა და სახელმწიფოს მრავალი ათასი მეტრი ქსოვილები დააკლო. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა თვითღირებულების შემცირების მაჩვენებლებზე.

1951 წ. მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ სტახანოველების მ. ლევჩენკოს და გ. მუხანოვის თაოსნობით აღმოაჩინდა მოძრაობა თვითეული საწარმოო ოპერაციის თვათღირებულების შემცირებისათვის. ეს პატრიოტული თაოსნობა მთელ ჩვენს ქვეყანაში გავრცელდა. აუცილებელია ამ პატრიოტული თაოსნობის გაშლას ჩვენს ფაბრიკებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

თვითღირებულების შემცირება, თვითეული მანეთისა და კაპიკის რაციონალური ხარჯვა, მომჭირნეობის რეჟიმის გახორციელება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა.

დოცენტი ს. ინწკირველი.

ჩქარდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის ტემპები.

მეორე, ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისათვის ხელს უწყობს ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის, მეურნეობის მმართველობის მეთოდებისა და ფორმების გაუმჯობესებას, შრომის ტექნიკური შეიარაღების გაძლიერებას.

მესამე, იგი ბერკეტია, რათა უკეთ იქნას გამოყენებული საწარმოს ძირითადი და საბრუნავი ფონდები, ადგილი არ ჰქონდეს ძირითადი ფონდების გაცდენას და საბრუნავი ფონდების გადახარჯვას.

მეოთხე, თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა ნიშნავს ცოცხალი შრომის გეგმაშეწონილ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ხოლო შრომის ნაყოფიერების გადიდება თვითღირებულების სისტემატური შემცირების მთავარი და გადამწყვეტი ბერკეტია.

მეხუთე, თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში ნათლად ვლინდება საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური მომწიფების ხარისხი, ცალკეული მუშაკების პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებთან სწორი შეხამება, რაც გამოხატულებას პოულობს სოციალისტური შეჯიბრების, სტახანოვური მოძრაობის მასობრივი გაშლით.

მეექვსე, თვითღირებულების შემცირება იწვევს რენტაბელობის ზრდას. საწარმოთა რენტაბელურ მუშაობას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა იმ საწარმოთა ხელმძღვანელების სასტიკ დასჯას, რომლებიც ზარალით მუშაობდნენ. 1922 წ. ვ. ი. ლენინი წერდა: „მე ვფიქრობ, რომ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ტრესტები და საწარმოები სწორედ იმიტომ არიან დაარსებულნი, რომ ისინი თვითონ აგებდნენ პასუხს და ამასთან მთლიანად აგებდნენ პასუხს იმისათვის, რომ მათი საწარმოები უზარალო იყოს. თუ აღმოჩნდება, რომ მათ ამას ვერ მიაღწიეს, ჩემი აზრით ისინი სამართალში უნდა იქნენ მიცემულნი და გამგეობის ყველა წევრის შემადგენლობით დაისაჯონ თავისუფლების ხანგრძლივი აღკვეთით (იქნებ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ პირობითი განთავისუფლების შეფარდებით), მთელი ქონების კონფისკაციით და ა. შ.“.

თვითღირებულების შემცირება შეიძლება მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნედ და ეფექტიანად გამოყენების გზით, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხარჯების შემცირებით.

თვითღირებულების შემცირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მანქანებისა და მოწყობილობის სწორად გამოყენებას, წარმოების რაციონალურ ორგანიზაციას, სახსრების ბრუნვის დაჩქარებას, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას.

საბჭოთა ადამიანები, ამცირებენ რა თვითღირებულებას, აღწევენ საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის გაფართოებას და ნაციონალური შემოსავლის გადიდებას. ნაციონალური შემოსავლის ზრდა კი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია. ჩვენში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრ

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა

მექანიზაციის შეუფასებლობა

უკანასკნელ წლებში აჭარის კოლმეურნეობებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის. მთელ რიგ საკოლმეურნეო ფერმებში მოწყობილია პირუტყვის ავტომატური სარწყულებლები, საკვების საფქვავ-საჭრელი, დასაორთქლებელი და სხვა მანქანები. მაგრამ ბევრგან ჯერ კიდევ სუსტად ინერგება მექანიზაცია, ხოლო არსებულ მანქანებსა და მექანიზმებსაც ცუდად იყენებენ.

ჯერ კიდევ გასულ წელს „საქსოფლმომარაგების“ აჭარის განყოფილებამ მიიღო ერთი ცალი ელექტროსაწველი აგრეგატი, რომელსაც მთელი რიგი ნაწილები აკლდა. მეორე ასეთი აგრეგატი მიიღეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში. მაგრამ ისინი დღემდე უქმად აწყვია საწყობში.

ცნობილია, თუ რა ფართო გამოყენება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ფერმებში საკვების დასაორთქლებელმა მანქანებმა. 1952-1953 წლებში აჭარაში მიიღეს 20 ცალი ასეთი მანქანა, დღეისათვის კი მათგან მხოლოდ 6 მანქანაა გამოყენებული. კოლმეურნეობათა უმრავლესობა იჩენს მათს შეუფასებლობას. სოფელ ხალას ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის, სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში ან სრულიად არ იყენებენ, ან მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე იყენებენ ამ მანქანებს.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საკოლმეურნეო ფერმებში ფართო გამოყენება ჰპოვა უნივერსალურმა წისქვილებმა. ამასთან მათზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება. ზოგან (ხუცუბნის სტალინის, ხალას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში და სხვ.) ისინი ელექტროენერგიის უქონლობის გამო უმოქმედოდ დგანან.

როგორც ცნობილია, დასაორთქლებელ მანქანებთან ერთად საჭიროა დაიდგას საკვების დასაქუცმაცებელი მანქანები, მაგრამ აჭარაში ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთი ცალი მიიღეს, ისიც ისეთ კოლმეურნეობაში (ხუცუბნის სტალინის სახელობისა) დადგეს, სადაც ელექტროენერგიის უქონლობის გამო მისი გამოყენება შეუძლებელია (!) უმოქმედოდ არის ზოგიერთი სხვა მანქანაც. ქობულეთის მტს-სა და „საქსოფლმომარაგების“ აჭარის განყოფილებაში ამჟამად 16 ცალი თივა-სილოსის საჭრელი მანქანაა, მაგრამ მათ დადგმასა და გამოყენებაზე რატომღაც არავინ ზრუნავს.

თუ როგორ არ იჩენს დაინტერესებას ზოგიერთი კოლმეურნეობა ფერმის მექანიზაციის საქმეში, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ბევრ კოლმეურნეობას მისთვის გამოყოფილი იარაღ-მანქანები და მასალები თვეობით არ გაიქვს საწყობებიდან. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას მიხაილოვის სახელობის კოლმეურნეობამ, იმის გამო, რომ დროზე არ მიიღო ზომები, ვერ გაიტანა და დაკარგა წყალსადენის მილები.

„საქსოფლმომარაგების“ აჭარის განყოფილების საწყობებში ამჟამად 10 ცალი ჩალის საჭრელი, 4 ცალი საკვების სარეცხი, 10-12 ცალი საკვების დასაორთქლებელი, 400 ცალამდე ავტომატური სარწყულებელი და სხვა მანქანები აწყვია, რომელთა გამოყენება წარმატებით შეიძლებოდა აჭარის საკოლმეურნეო ფერმებში.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები იშვიათად ამოწმებენ საკოლმეურნეო ფერმებში მექანიზაციის მდგომარეობას და არ იღებენ საჭირო ზომებს მეცხოველეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ზამთრის მოახლოებას არ გრძნობენ

მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითები ცხადყოფენ, რომ ლაგოდეხის რაიონში სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მეცხოველეობის ფართოდ განვითარების სრული შესაძლებლობა არსებობს.

ზამთრისათვის კარგად მოემზადა სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც უკვე აშენებულია 141 სულის ტევადობის კეთილმოწყობილი სტანდარტული ტიპის საღორე და 100 სულის ტევადობის მსხვილფეხა პირუტყვისათვის ნათელი და კულტურული სადგომი. საკვებმოპოვების ბრიგადამ უკვე საკმარისი რაოდენობით მოიმარაგა უხეში და კონცენტრირებული საკვები.

სოფელ აფენის სტალინისა და სოფელ ლენინის ჰავკავაძის სახელობის კოლმეურნეობებმა დროულად დაზვინეს ბუნებრივი და ნათესი ბალახების ნათიბი და საკმაო რაოდენობით ჩადეს სილოსი.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში საზამთრო სადგომების მშენებლობა და პირუტყვის საკვების დამზადება მიმდინარეობს ზანტად, აუჩქარებლად.

საქმე დღემდე ადგილიდან არ დაძრულა სოფელ ბოლოკიანის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც დაუმთავრებელია გასულ წელს დაწყებული 140 სული პირუტყვის ტევადობის სადგომის მშენებლობა. კოლმეურნეობის გამგეობა თავს არ იწუხებს მშენებლობის დასაჩქარებლად. აქ საზამთრო სადგომებთან ჯერაც არ არის საკმარისი რაოდენობით მიწიდული საშენი მასალა. კოლმეურნეობაში ჭიანურდება აგრეთვე თივის დაზვინვა და სილოსის ჩადება. როგორც ჩანს, აქ ავიწყდებათ წარსული ზმრთის მწარე გაკვთილი.

ზამთრის მოახლოება არ გრძნობა აგრეთვე სოფელ ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ჭიანურდება სილოსის ჩადება, ხოლო მეორე წელია შენდება 50 სულის ტევადობის ბოსელი, რომლის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

იმის გამო, რომ წელს ვერ შეასრულეს პირუტყვის სულადობის ზრდისა და წველადობის გეგმები, სოფელ ფონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე ს. ქოზაევი) თავის სხდომაზე ხშირად გამოაქვს ახალ-ახალი დადგენილებები. მაგრამ ეს დადგენილებანი ფარატინა ქაღალდად რჩება. განა შეიძლება მოვითმენოთ, რომ მინდორში მოთიბული თივა დაუზვინავია, ხოლო სილოსის ჩადება არ დაუწყიათ?

კომბაინების მიერ მომკილი ფართობებიდან ნამჯა მთლიანად არ გამოზიდეს და მინდორში დაალპეს სოფელ ახალი საქობოს მოლოტოვის და მშვიდობიანის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებში. აქ ახლაც არ ჩქარობენ ბუნებრივი ბალახების აღებას.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებს არა აქვთ საკმარისი საზამთრო საძოვრები. ამ მხრივ არ იგრძნობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს დახმარება. ამავე დროს ცეკავშირი სუსტად ამარაგებს კოლმეურნეობებს მეცხოველეობის სადგომების ასაგებად საჭირო საშენი მასალებით.

ალ. ზუბაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ცხვრის პარსვის მექანიზაცია

წელს ხაშურის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცხვრის პარსვა მექანიზებული წესით წარმოებს. სამუშაოს ასრულებს ხაშურის მანქანა-ტრაქტორთა სადგური სპეციალური აგრეგატით. ამ დღეებში დამთავრდა საკოლმეურნეო ცხვრის საშემოდგომო პარსვა.

(„კომუნისტის“ კორ.).

უცნაური პოზიცია

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თივისა და სილოსის დამზადების გეგმები. 40 ათასი ცენტნერის ნაცვლად დამზადებულია 41 ათასი ცენტნერი თივა. ჩადებულია 2.250 ტონა სილოსი, გეგმა კი 1.900 ტონას ითვალისწინებდა. წინ მიდის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც 90 ტონის ნაცვლად 140 ტონა სილოსი ჩადო. თივისა და სილოსის დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ბოხვაურის, ძიმითის, ბახვის, თხინვალის, დვაბზუს კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ასე როდი ზრუნავენ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ სილოსისა და თივის დამზადების გეგმების შესრულებისათვის ყველა პირობა იყო, მაგრამ ეს დავალება მაინც არ შეუსრულებიათ. დამახასიათებელია, რომ ამ კოლმეურნეობის მიერ სილოსის დამზადების გეგმის შეუსრულებლობა პირველი შემთხვევა როდია. შარშან კოლმეურნეობას 70 ტონა სილოსი უნდა დაემზადებინა, ფაქტიურად არცერთი ტონა არ დაუმზადებია.

შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მ. ორაგველიძეს კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საკმაო გამოცდილება აქვს. მან არ შეიძლება არ იცოდეს ის დიდი ლენინისეული, რომლებსაც ამჟამად ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის; ყოველივე ამის შემდეგ ამხ. ორაგველიძის ასეთი უცნაური პოზიცია დიდ გაკვირვებას იწვევს.

ვ. ჯაყელი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი

ვენა, 20 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის დილის სხდომის დასაწყისში წინადადებათა კომისიის სახელით უტომომ (ინდონეზია) გააკეთა მორიგი განცხადება იმ მისალმებათა შესახებ, რომლებიც კვლავ მოსდის კონგრესს. 19 ოქტომბრის საღამოსათვის მისასალმებელი დეპეშებისა და წერილების რაოდენობა 2.945 ცალს აღწევდა.

შემდეგ განახლდა განხილვა რუსლან ვიჯაჯასასტრას მოხსენებისა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში პროფკავშირული მოძრაობის განვითარების შესახებ. თავმჯდომარე ხოსე მორერო სიტყვას აძლევს საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის პროფკავშირული ცენტრის საკორდინაციო კომიტეტის მდივანს მაოგეკს (კამერუნი). ბეკმა აღნიშნა ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ შეასრულა აფრიკის კოლონიებში პროფკავშირული მოძრაობის გაჩაღებაში. უკანასკნელ წლებში შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიერ განხორციელებულ ლონისძიებათა მეოხებით აფრიკის პროფკავშირთა ბრძოლაში მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი.

შემდეგ გამოსული ანტონიო დე გაუნა ლაპარაკობს არგენტინელი მუშა ქალების ბრძოლაზე თავიანთი მოთხოვნებისათვის (თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის, სპეციალური შვებულება ორსულობის დროს, საბავშვო ბაღების ორგანიზაცია და სხვ.), აგრეთვე შრომელთა საერთო მოთხოვნებისათვის.

ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს მუშაკთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილება) თავმჯდომარის მოადგილე რენე დიუმელი ამბობს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტები იწვევენ სამოქალაქო საჭიროებისათვის ხარჯების შემცირებას, ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუარესებას.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში სამუშაოდან დათხოვნილია ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს ასიათასობით მუშაკი. მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სახელმწიფო დაწესებულებათა, ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს მოსამსახურენი მოკლებული არიან უფლებას შექმნან თავიანთი პროფკავშირები. დიუმელმა განაცხადა, რომ მოიწყობა სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც, უეჭველია, ხელს შეუწყობს ამ კატეგორიების მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცებას.

სამხრეთ აფრიკის კვებისა და საკონსერვო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე ფრანკ მარკვანდი ლაპარაკობს იმ დევნაზე, რასაც სამხრეთ აფრიკაში დემოკრატიული პროფკავშირები განიცდიან. სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ფიზიკური დასჯა შემოიღო მკვიდრი მოსახლეობისათვის.

მაგრამ, ამბობს ორატორი, ჩვენს ხალხს ესმის, რომ იგი მარტო როდია ბრძოლაში, რომ ჩვენ მუდამ გვიჭერს მხარს მილიონობით მშრომელი, რომლებიც დარაზმული არიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში.

შემდეგ სიტყვა ეძლევა კალკუტის (ინდოეთი) დოკერების პროფკავშირის ხაზინადარს სიდჰა როის. იგი ლაპარაკობს დოკერებისა და ნავსადგურების მუშების ბრძოლაზე თავიანთი უფლებებისათვის და პირობას აძლევს კონგრესს, რომ მოკლე ხანში შეიქმნება ინდოეთის დოკერებისა და ნავსადგურის მუშების ერთიანი ფედერაცია.

სადჰა როის შემდეგ მოკლე საბოლოო სიტყვა დღის წესრიგის მესამე პუნქტზე წარმოთქვა რუსლან ვიჯაჯასასტრამ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, გაანალიზა ვიჯაჯასასტრამ, კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხთა ინტერესების შესაბამისად თავისი დაარსების მომენტიდან იბრძოდა კოლონიური სისტემის ლიკვიდაციისათვის. მან კვლავაც უნდა შეუწყოს ხელი კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მშრომელთა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

შემდეგ მოისმინეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის რევიზორების საფინანსო ანგარიში, რომელიც დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს.

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა ლეონგი გრასმ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესზე წარმოდგენილია 88.600.000 მშრომელი, ე. ი. 17 მილიონით მეტი, ვიდრე მილანის II კონგრესზე. აქედან 80 მილიონი 354 ათასი შედის იმ ორგანიზაციებში, რომლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას ემხრობიან, ხოლო 8 მილიონი 246 ათასი არ შედის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში. რეპრესიების გამო კონგრესზე ვერ ჩამოვიდნენ ეგვიპტის, ეკვადორის, პაკისტანის, პუერტო-რიკოს, ფილიპინებისა და ტაილანდის 346 ათასი მშრომელის დელეგატები.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ 79 ქვეყნის პროფკავშირების წარმომადგენლები — 784 დელეგატი და მეთვალყურე და 35 სტუმარი. 342 დელეგატი და მეთვალყურე წარმოადგენს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში არ შედიან. 784 დელეგატთა და მეთვალყურეთა შორის 67 ქალია 23 ქვეყნიდან.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე 7 საერთაშორისო ორგანიზაციის 22 მეთვალყურე და მოწვეული. კონგრესმა ცხადყო, ნათქვამია სამანდატო კომისიის მოხსენებაში, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია უდიდესი გავლენითა და სიმპათიით სარგებლობს კოლონიურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ამას მოწმობს დელეგატთა შემადგენლობა, რომელთა ნახევარი ამ ქვეყნების მშრომელთა წარმოზარდილები არიან. ეს ცნობები ცხადყოფენ აგრეთვე, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ყველაზე მძლავრი და ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციაა, როგორიც მუშათა მოძრაობის ისტორიას არ ახსოვს.

კონგრესის მონაწილენი ერთსულოვნად იღებენ რეზოლუციას, რომლითაც გამოთქვამენ ძმურ სოლიდარობას ბრიტანეთის გვიანის მშრომელებთან. კონგრესმა მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რომლითაც მოუწოდებს დავმოს ძალადობის აქტები, რომლებსაც ინგლისელი კოლონიზატორები ბრიტანეთის გვიანაში სჩადიან.

შემდეგ კონგრესი შეუდგა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას.

საბჭოთა მეზღვაურები ბულგარეთში

სოფია, 20 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო თავდაცვის მინისტრის მოწვევით ბულგარეთის ნავსადგურ სტალინში მცვრობრობის ვიზიტით მყოფი საბჭოთა სამხედრო გემების რაზმის მეთაური ვიცე-ადმირალი ვ. ა. პარხომენკო ოფიცერთა და მატროსთა ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა სოფიაში.

საბჭოთა სტუმრები მიიღო ბულგარეთის სახალხო თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა პ. პანჩევსკიმ. შემდეგ საბჭოთა მეზღვაურებმა დათვალიერეს ბულგარეთის რევოლუციური მოძრაობის მუზეუმი, გაეცნენ ბულგარეთის დედაქალაქს და მის ღირსშესანიშნაობებს.

საბჭოთა მეზღვაურებმა გვირგვინებით შეამკეს ბოგოევი დიმიტროვის მავზოლეუმი.

დღისით საბჭოთა მეზღვაურები მიიღო ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვულკო ჩერვენკოვმა. მიღებას დაესწრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. ფ. ბოდროვი.

კიმ ირ სენისა და პინ დეჰუისადმი გენერალ ჰარისონისა

პეკინი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდალმა მარშალმა კიმ ირ სენმა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების სარდალმა გენერალმა პინ დე-ხუეიმ დღეს გაერთიანებული ერების ჯარების მთავარსარდალს ჰელს გაუგზავნეს წერილი, რომლითაც მოითხოვეს, რომ ამერიკის მხარემ ამომწურავი და კონკრეტული ანგარიში წარმოადგინოს ყველა ის 98.742 კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვის შესახებ, რომლებიც, როგორც გამორკვეულია, ამერიკელთა ხელში იყვნენ. ეს კორეელი და ჩინელი ტყვეები ამერიკის მხარეს არ დაუბრუნებია და არავითარი ანგარიში მათ შესახებ არ წარმოუდგენია.

მარშალმა კიმ ირ სენმა და გენერალმა პინ დე-ხუეიმ აგრეთვე მოითხოვეს, რომ ამერიკის მხარემ კორეა-ჩინეთის მხარეს წარმოუდგინოს ყველა იმ პირთა სია, რომლებიც ამერიკელთა მტკიცების თანახმად, სარეპატრიაციო ნეიტრალურ კომისიას გადაეცნენ.

ჩამოყალიბდა დასავლეთ გერმანიის ახალი მთავრობა

ბერლინი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის საგენტო დპა იუწყება, დღეს ბონში გამოცხადდა დასავლეთ გერმანიის მთავრობის ახალი შემადგენლობა. ეს მთავრობა შეადგინა ადენაუერმა ბუნდესტაგის არჩევნების შემდეგ.

მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანენ იმ სამი პარტიის წარმომადგენელნი, რომლებიც გამოხატავენ გერმანელთა მონოპოლისტებისა და რევანშისტების ინტერესებს და რომლებიც წინათ უკვე შედიოდნენ მთავრობის კოალიციაში (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი — ქრისტიან სოციალისტთა კავშირი, თავისუფალი დემოკრატიული პარტია და გერმანელთა პარტია); მათ შეუერთდა მეოთხე პარტია — სრულიად გერმანიის ბლოკი, რომელმაც აგრეთვე მიიღო მინისტრთა პოსტები.

ამასთან ადენაუერის პარტიამ (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი — ქრისტიან სოციალისტთა კავშირი) არათუ შეინარჩუნა მინისტრთა პორტფელების მეტი ნაწილი (10 პორტფელი 18-დან), არამედ აგრეთვე ხელთ იგდო ყველა გადამწყვეტი პოსტი (კანცლერის, საგარეო საქმეთა მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ფინანსთა მინისტრის, მეურნეობის მინისტრისა და სხვ.).

თურქეთში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობის გეგმები

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, თურქეთი მზად არის მისცეს ნაკვეთი და უზრუნველყოს მომსახურება ისკენდერუნა-ადანა-დიარბექირის სამკუთხედში ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის დიდი სამხედრო ბაზის შესაქმნელად.

თურქეთის ხელისუფალნი, განაგრძობს კორესპონდენტი, ახალი სამხედრო ბაზის შექმნის სასარგებლოდ სხვა საბუთებს შორის აღნიშნავენ, რომ „იმას წინათ გაფართოებული ისკენდერუნის ნავსადგური რკინიგზით და სამხედრო გზატკეცილით დაკავშირებულია ადანის დიდ აეროდრომთან“ და რომ „მთავრდება იმ გზატკეცილების მშენებლობა, რომლებიც ისკენდერუნიდან მიდის არზრუმში, სადაც დაბინავებულია თურქეთის მე-3 არმიის შტაბი, და დიარბექირში, სადაც ბაზა აქვთ თურქეთის „F-84“ ტიპის რეაქტიულ ავიაგამანადგურებლებს“.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის!

ცხვარი კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე

კასპიისპირა დაბლობის ვრცელი ტერიტორია, განსაკუთრებით შავი მიწები, საუცხოო საზამთრო საძოვრებს წარმოადგენს. ყოველ წელიწადს საქართველოდან, დაღისტნიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქვემო ვოლგისპირეთიდან აქ საზამთროდ მილიონობით სულ ცხვარს მორეკავენ ხოლმე. ხანგრძლივი შემოდგომა, შედარებით თბილი და თითქმის უთოვლო ზამთარი, აგრეთვე ამ რაიონების უაღრესად ნოყიერი მცენარეულობა ხელს უწყობს პირუტყვის კარგად გასუქებას.

ცხვარი სხვა ცხოველებზე უფრო კარგად იყენებს ზამთრის საძოვრებს. ამიტომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით სულ უფრო მეტი რაოდენობით მიერეკებიან საზამთრო საძოვრებზე წმინდამატყლიანი და ნახევრადწმინდამატყლიანი ჯიშის ცხვარს.

შავ მიწებზე გამოზამთრების შემდეგ წმინდამატყლიანი ცხვარი გასუქებულია, კარგი ხშირი მატყლი აქვს. მაგალითად, სტავროპოლის მხარის აპანასენკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებს თითო სული ცხვრის მატყლის საშუალო ნაპარსი ოთხი წლის განმავლობაში საზამთრო საძოვრებზე შენახვისას იყო 5,54 კილოგრამი, მაშინ როცა ჩვეულებრივი ბაგური შენახვისას ნაპარსი 4,59 კილოგრამს უდრის. ამასთან დამახასიათებელია, რომ ზამთრის საძოვრებზე ნამყოფი ცხვრის მატყლი უფრო გრძელია და მაგარი.

საზამთრო საძოვრებზე დედაცხვრების ძოვება კეთილ გავლენას ახდენს მათს ნაყოფიერებაზე. აპანასენკოვსკის რაიონის კოლმეურნეობების ყოველ 100 სულ დედაცხვარზე, რომლებიც ზამთარში საზამთრო საძოვრებზე ჰყავდათ, ხუთი წლის განმავლობაში მიღებულ იქნა საშუალოდ 119 ბატკანი, ბაგური შენახვის დროს კი მხოლოდ 103 ბატკანი. იმ დედაცხვრებისაგან მიღებული ბატკნების სიკვდილიანობა, რომლებიც ზამთარში შავი მიწების საძოვრებზე ჰყავდათ, სიცოცხლის პირველ ცხრა თვეში თითქმის ერთიორად ნაკლები იყო, ვიდრე ბაგურ შენახვაზე მყოფი დედაცხვრებისაგან მიღებული ბატკნებისა. თითქმის ერთიორად მცირდება მოზრდილი ცხვრის სიკვდილიანობა.

წმინდამატყლიანი ცხვრის საზამთრო საძოვრებზე ძოვების სწორი ორგანიზაციის დროს მატყლის ნაპარსი დიდია. მაგალითად, სტავროპოლის მხარის აპოლონსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნისტჩიზსკი მაიაკმა“ ყოველ ცხვარზე მიიღო 7,6 კილოგრამი ნაპარსი, ამავე მხარის აპანასენკოვსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ, სტეპნოეს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და კოლმეურნეობა „სტრანა სოვეტოვმა“ ერთ ცხვარზე საშუალოდ მიიღეს 7 კილოგრამი ნაპარსი.

გამოანგარიშებულია, რომ სტეპნოეს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მარტო შავი მიწების საზამთრო საძოვრების გამოყენებით დამატებით მიიღო 4.000-ზე მეტი ბატკანი და 75 ტონამდე წმინდა მატყლი. ამ მატყლით შეიძლება დამზადდეს 75 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, რაც საჭიროა 25 ათასი კოსტიუმის შესაკერად. პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ ნოღაის ველების კოლმეურნეობებსაც. მაშასადამე, წმინდამატყლიანი ცხვარი კარგად არის შეგუებული ზამთარში ძოვებას მთელ დასავლეთ კასპიისპირეთში.

რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ცხვრის საზამთრო საძოვრებზე ძოვების ხანგრძლივობას, ეს ჩანს სტავროპოლის მხარის პეტროვსკოეს რაიონის კოლმეურნეობების მაგალითით. ეს კოლმეურნეობები სხვადასხვა დროის განმავლობაში აძოვებენ იქ თავიანთ ცხვარს, ამიტომ ნაპარსსაც სხვადასხვას იღებენ. მაგალითად, 1946-1947 წლის ზამთარში, როცა ამინდის პირობები ცუდი იყო, 265 დღის განმავლობაში ძოვების დროს მატყლის ნაპარსმა თითო ცხვარზე ამ მეურნეობებში შეადგინა 3,97 კილოგრამი, ხოლო 320 დღის განმავლობაში ძოვების დროს — 4,28 კილოგრამი. ძოვების ვადის 350 დღემდე გაგრძელების დროს ნაპარსი გადიდდა 4,56 კილოგრამამდე. ასევე იმატა აღგილობრივი, უხეშმატყლიანი ცხვრის მატყლის ნაპარსმაც.

ცხვრის საზამთრო საძოვრებზე შენახვა გაცილებით უფრო ძნელი და რთულია, ვიდრე ზაფხულში შენახვა. ზამთარში ძოვება ჩვეულებრივ მიმდინარეობს შედარებით დაბალი ტემპერატურისა და მეტეოროლოგიური პირობების მკვეთრი მერყეობის დროს. იანვარ-თებერვალში ბალახი ზოგჯერ 12-15 სანტიმეტრის სისქის თოვლით იფარება.

შავი მიწების საძოვრებზე ცხვრის ზამთრობით ძოვების წარმატება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმაზე, თუ მეურნეობები როგორ მოემზადებიან ზამთრისათვის. კოლმეურნეობები, რომლებსაც მომთაბარე მეცხოველეობის გამოცდილება აქვთ, ზამთრისათვის გაზაფხულიდან ემზადებიან. ყოველ წელიწადს აპრილის დამდეგს შავ მიწაზე კოლმეურნეობები გზავნიან სპეციალურ ბრიგადებს, რომლებიც მუშაობენ საწარმოო და საცხოვრებელი შენობების, ჭების მშენებლობასა და რემონტზე, წმენდენ ფარეხებსა და ბაკებს. ზაფხულში, როცა ბალახი შემოვა, ეს ბრიგადები მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მუშაკებთან ერთად ამზადებენ თივას, ქმნიან ფურაჟის საგარანტიო ფონდებს.

წარმოებს მოწინავე კოლმეურნეობების მიერ კასპიისპირეთის ნახევრადუდაბნო მიწების თანდათანობით ათვისება საზამთრო საძოვრებისათვის. სტავროპოლის მხარის აპანასენკოვსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ შავ მიწაზე ააშენა 11 ფარეხი, 23 კაპიტალური ბაკი და ცხვრის ხელოვნური დათესვლის 4 პუნქტი. მწყემსების თვითეული ბრიგადისათვის აშენებულია ჩალისა და ლელის სახლები. ამოღებული და მოწყობილია 12 ჭა. ცენტრალურ კარმიდამოში თავმოყრილია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები: სამედიცინო პუნქტი, კლუბი რადიომიმღებითა და ბიბლიოთეკით, მაღაზია, სასადილო, პურსაცხობი, აბანო და სახარაზო. აქვეა სამჰედლო და საკუჭნაოები.

1949 წელს კოლმეურნეობამ პირველად დაჰყო თავისი საზამთრო საძოვრები ნაკვეთებად. თვითეული უბანი 5 წლით მიმაგრებული აქვს მწყემსების ჯგუფს. ამან შესაძლებელი გახადა საძოვრების გაუპიროვნების ლიკვიდაცია და შექმნა მეცხოველეობის ბრიგადის წევრთა დაინტერესება საკვები სავარგულების სწორად გამოყენებით. საძოვრების საუკეთესო ნაკვეთები, სადაც სჭარბობს ნაირბალახეულობა მარცვლოვნებთან (კაპუეტა, თივაქასრა, ერთწლიანი შვრიელები) შეხამებით, მეცხვარეებმა მიამაგრეს ჯიშიანი ცხვრის ფარებს, აბზინდიანი ნაკვეთები — წმინდამატყლიანი ცხვრის ფარებს, ხოლო ის ნაკვეთები, სადაც გავრცელებულია ვაციწვერა და ცხვრის წივანა, უხეშმატყლიანი ცხვრის ფარებს.

კვებისა და მოვლა-შენახვის სწორი ორგანიზაცია დიდ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების განვითარებასა და პროდუქტიულობაზე. მეცხვარეობაში ამ საკითხებზე ყოველდღიურად მუშაობენ მწყემსები. ამიტომ მათს გამოცდილებას და შემოქმედებითს საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხვრის გაზრდის საქმეში. სტავროპოლის მხარის სტეპნოეს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულ მწყემსებს სოციალისტური შრომის გმირებს ტ. შჩეპინს, ვ. ანუფრიენკოს, ნ. კორმიენკოს და ბევრ სხვას თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ, რომ ცხვარი მთელი წლის განმავლობაში საშუალო და საშუალოზე მაღალი სიმსუქნისა იყოს, რაც მეტი მატყლისა და მეტი ბატკნების მიღების შესაძლებლობას იძლევა. მწყემსები საძოვრის გამოყოფილ ნაკვეთებზე იკვლევენ ბალახის მდგომარეობას და წინასწარ ვარაუდობენ, როდის და ამინდის რა პირობებშიც გადაიყვანონ ცხვარი საძოვრად ამა თუ იმ ნაკვეთზე. ყველაზე კარგ საძოვრებს ტოვებენ თებერვლის მეორე ნახევრისა და მარტის დადგებისათვის. ამ დროისათვის მატუ-ლობს დედაცხვრის მოთხოვნილება საკვებზე.

საზამთრო ძოვების დასაწყისში ტ. შჩეპინს ცხვარი დაუდის დაბალნალახიან ნაკვეთებზე და გათიბულ სათიბებზე. უფრო გვიან, თუ თოვლი შედარებით ღრმაა, ასეთ მცენარეულს ცხვარი ცუდად იყენებს. ყინვების შემდეგ, როცა აბზინდა და მლაშობის მცენარეები საჭმელად ვარგისი ხდება, მას ფარა ამ საძოვრებზე გადაჰყავს. აქ ცხოველები სწრაფად მატულობენ წონაში. როცა თოვლის სიღრმე 12 სანტიმეტრს გადააცილებს, შჩეპინი ცხვარს აძოვებს იმ ნაკვეთებზე, სადაც მაღალეროვანი ბალახებია. ამავე დროს ცხვარს დამატებითი საკვები ეძლევა.

მწყემსი ვ. ანუფრიენკო დღის დასაწყისში, როცა ცხვარს მეტი მადა აქვს, იყენებს უხეშ მცენარეულიან საძოვრებს, დ

საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენლობა

პარიზი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, სექტემბრის დასაწყისში საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დეკრეტით „შინაგან უთანხმოებათა“ საბაბით დათხოვნილ იქნა ქალაქ ალესის (პარის დეპარტამენტი) მუნიციპალური საბჭო. დათხოვნის ნამდვილი მიზეზი იყო რეაქციული პარტიების ხრიკები კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებმაც დიდი გამარჯვება მოიპოვეს უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებში ამა წლის 26 აპრილს და ადგილების უმრავლესობა მიიღეს ქალაქის მუნიციპალურ საბჭოში.

ეუშინ გაიმართა ქალაქ ალესის მუნიციპალური საბჭოს ახალი არჩევნები, რომელმაც ცხადყო კომუნისტური პარტიის პოზიციების სიმტკიცე. ამ არჩევნების შედეგად კომუნისტებმა საბჭოში შეინარჩუნეს თითხმეტივე ადგილი, რომლებიც მათ წინათ ჰქონდათ.

იაპონიის რეაქციის ძალების გაერთიანება

შანხაი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ამას წინათ უკვე ვიუწყებოდით, იოსიდას ლიბერალურ პარტიასა და ეგრეთწოდებულ პროგრესულ პარტიას შორის, რომელსაც სიგემიცუ მეთაურობს, მიღწეულ იქნა შეთანხმება იაპონიის ხელახლა შეიარაღების პროგრამის შესახებ.

ამის შემდეგ იოსიდას მთავრობამ, რომელიც ისწრაფვის უზრუნველყოს თავისთვის კონსერვატიული ძალების სრული მხარდაჭერა პარლამენტში, გადადგა ნაბიჯები, რათა მიიღწიოს შეთანხმება ხატოიამას ლიბერალურ პარტიასთანაც, რომელსაც პარლამენტის ქვედა პალატაში 35 ადგილი აქვს. (ხატოიამას ფრაქცია მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამოვიდა იოსიდას ლიბერალური პარტიიდან და დამოუკიდებელი პარტია დააარსა). როგორც ღღეს გაზეთი „ინმიური“ იუწყება, იმ მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც ჩარმოვდა იოსიდას წარმომადგენელ — უპორტფელო მინისტრ ანდოსა და გათიშული ფრაქციის ლიდერ ხატოიამას შორის, ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა თავის მომხრეებთან ერთად დაბრუნდეს იოსიდას პარტიაში. მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება იაპონიის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ ხელახალი შეიარაღების ლეგალიზაციის მიზნით, აგრეთვე თვით ხელახალი შეიარაღების პროგრამის შესახებ.

იაპონია-ამერიკის ეკონომიური წინააღმდეგობანი

შანხაი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიის რადიოს ცნობით, იაპონიის საერთაშორისო საგაჭრო პალატის კომიტეტმა შეერთებულ შტატებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც მოუწოდებს „გააუქმონ გადაჭარბებული შეზღუდვები იმპორტის დარგში“ და გადასინჯონ იაპონიის საქონლისათვის არსებული მაღალი ტარიფების ამერიკული პოლიტიკა, რადგან იგი დიდ ზარალს აყენებს იაპონიის ეკონომიკას.

საერთაშორისო საჰაერო ტურნირი

ციურიხი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ციურიხის საერთაშორისო საჰაერო ტურნირის 28-ე ტურში მალე დამთავრდა ყაიმით ტაიმანოვ-სმისლოვისა და პეტროსიან-კოტოვის შეხვედრები. 31-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა აგრეთვე სბო-შტალბერგისა და ავერბახ-ბოლესლავსკის პარტიები.

ყველა დანარჩენი პარტია, მათ შორის ბრონშტეინ-რეშევსკის პარტია გადაიდო. გელერ-ნაიდორფის პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერს ზედმეტი პაიკი აქვს. კერესს უკეთესი პოზიცია აქვს პარტიაში გლიგორიჩის წინააღმდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის ღღის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა სამხრეთ აფრიკის“ კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის შესახებ. კამათში გამოვიდნენ სამხრეთ აფრიკის კავშირის, ბელგიის, ეკვადორის, საფრანგეთისა და საბერძნეთის დელეგატები.

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელი თავის გამოსვლაში ამტკიცებდა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის საკითხი თითქოს „ამ ქვეყნის საშინაო კომპეტენციის“ საკითხია და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას „არ შეუძლია ჩაერიოს მასში“. სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა ამასთან გვერდი აუარა იმ საკითხს, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირში ხორციელდება რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა ინდური წარმოშობის პირების მიმართ, პოლიტიკა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს. ამასთან სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ამჟამად მზად არის მიიღოს მონაწილეობა „მრგვალ მაგიდის“ კონფერენციაში სამხრეთ აფრიკის კავშირს, ინდოეთსა და პაკისტანს შორის განსახილველი საკითხის მოსაწესრიგებლად, მაგრამ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეშე და მის მიერ მიღებული რეზოლუციების მიუხედავად“. მან განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს იმ რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც 17 ქვეყანამ შეიტანა.

ბელგიისა და საფრანგეთის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელს, განაცხადეს რა, რომ ისინიც ხმას მისცემენ 17 ქვეყნის დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

ეკვადორის დელეგატმა თავის გამოსვლაში მკაცრად გააკრიტიკა სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრ მალანის რასისტული განცხადებანი.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლება აქვს განიხილოს ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესაბამისად, ეკვადორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანაა „ბრძოლა ადამიანის თავისუფლებისათვის კანის ფერის, რასისა და კულტურის მიუხედავად“.

სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის საკითხის განხილვისას, თქვა ეკვადორის დელეგატმა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე ის ფაქტი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის დროს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოდა რასობრივ დისკრიმინაციას.

საბერძნეთის დელეგატმა, დაიმოწმა რა ბელგიის დელეგატის გამოსვლა და ის, რომ საჭიროა ამ საკითხის გადაჭრა დაინტერესებული მხარეების უშუალო მოლაპარაკების გზით, განაცხადა, რომ მისი დელეგაციაც არ დაუჭერს მხარს 17 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს. (17 ქვეყნის რეზოლუციის პროექტში მოცემულია წინადადება შეინარჩუნებულ იქნას „კეთილი სამსახურის“ კომისია, რომელმაც გენერალური ასამბლეის მე-9 სესიას უნდა წარუდგინოს მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ. სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობას დაბეჯითებით ეძლევა წინადადება ითანამშრომლოს ამ კომისიასთან, აგრეთვე თავი შეიკავოს აკეკუფური გაყოფის შესახებ დადგენილებების განხორციელებისაგან).

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა თხოვნით მოწვეულ იქნა უშიშროების საბჭოს სხდომა. წინასწარ ღღის წესრიგში იყო პუნქტი: „პალესტინის საკითხი“.

ამ საკითხის შესახებ საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს 1953 წლის 17 ოქტომბერს გაუგზავნეს წერილები, რომლებიც „იდენტურია. ისინი მოითხოვენ „სასწრაფოდ მოწვეულ იქნას უშიშროების საბჭოს სხდომა, რათა „პალესტინის საკითხის“ პუნქტად განხილულ იქნას ისრაელისა და მეზობელ არაბთა სახელმწიფოების ახლანდელი უთანხმოება, ამასთან განსაკუთრებით გათვალისწინებულ იქნას ძალადობის ამასწინანდელი შემთხვევები და საკითხი განხილულ იქნას დაზავების შესახებ შეთანხმების შესრულებისა და იძულებითი განხორციელების თვალსაზრისით“. წერილებში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „საბჭოს მიერ საკითხის განხილვის ამოცანა შეიძლებოდა უშინაარეს ყოვლისა იმით გადწყვეტილიყო, რომ პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტაბის უფროსი“ (გენერალი ბენიკე) „რაც შეიძლება მალე გაუკეთებდა საბჭოს პირად მოხსენებას“.

ლიბანის წარმომადგენელმა მალიქმა, რომელსაც მხარი დაუჭირა პაკისტანის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ზაფრულა-ხანმა, აღნიშნა, რომ წინასწარ ღღის წესრიგში დაზუსტებული არ არის, თუ სახელდობრ რა იქნება განხილვის საგანი. მან სთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატებს განმარტონ, თუ სახელდობრ რატომ ამჟამად გადწყვიტა სამმა სახელმწიფომ დაესვა პალესტინის საკითხი უშიშროების საბჭოში, და პალესტინის საკითხის სახელდობრ ზომელი მხარის განხილვას აპირებენ ისინი საბჭოში. ამასთან მალიქმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როცა სსრ კავშირის დელეგაციამ ამას წინათ წინადადება შეიტანა განეხილათ ტრიესტის საკითხი, მან ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი წინადადება, სახელდობრ: „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის დანიშვნის საკითხი“.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ არ არის იმის საფუძველი, რომ ლიბანის დელეგატს უარი ეთქვას თხოვნაზე — უფრო ზუსტად უთხრან, თუ რას გულისხმობს „პალესტინის საკითხი“. ასეთი დაზუსტება გაუადვილებს უშიშროების საბჭოს წევრებს მოემზადონ იმ საკითხის განსახილველად, რომელიც მხედველობაში აქვთ იმ წერილების ავტორებს, რომელნიც „პალესტინის საკითხის“ განხილვას მოითხოვენ. ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს, რომ „პალესტინის საკითხი“ შეიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილზეც უკვე მუშაობს გენერალური ასამბლეა.

შემდგომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებსა და ლიბანის წარმომადგენელს შორის ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა. ლიბანის წარმომადგენელმა არაერთხელ ითხოვა მიეცათ განმარტება იმის შესახებ, თუ პალესტინის საკითხის რა მხარეების განხილვა სურთ. ამაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლეოდნენ, გაურბოდნენ მომავალი განხილვის საგნის დაზუსტებას. ამ დისკუსიის მსვლელობაში ლიბანის დელეგატმა შესწორება შეიტანა წინასწარ ღღის წესრიგში. მან მოითხოვა სიტყვებს „პალესტინის საკითხი“ დაემატოს სიტყვები „ირანის საკითხი“ ამასწინანდელი ირანელი ბატონების ამბიციებზე ისინი საბჭოში. ამასთან მალიქმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როცა სსრ კავშირის დელეგაციამ ამას წინათ წინადადება შეიტანა განეხილათ ტრიესტის საკითხი, მან ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი წინადადება, სახელდობრ: „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის დანიშვნის საკითხი“.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ არ არის იმის საფუძველი, რომ ლიბანის დელეგატს უარი ეთქვას თხოვნაზე — უფრო ზუსტად უთხრან, თუ რას გულისხმობს „პალესტინის საკითხი“. ასეთი დაზუსტება გაუადვილებს უშიშროების საბჭოს წევრებს მოემზადონ იმ საკითხის განსახილველად, რომელიც მხედველობაში აქვთ იმ წერილების ავტორებს, რომელნიც „პალესტინის საკითხის“ განხილვას მოითხოვენ. ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს, რომ „პალესტინის საკითხი“ შეიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილზეც უკვე მუშაობს გენერალური ასამბლეა.

შემდგომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებსა და ლიბანის წარმომადგენელს შორის ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა. ლიბანის წარმომადგენელმა არაერთხელ ითხოვა მიეცათ განმარტება იმის შესახებ, თუ პალესტინის საკითხის რა მხარეების განხილვა სურთ. ამაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლეოდნენ, გაურბოდნენ მომავალი განხილვის საგნის დაზუსტებას. ამ დისკუსიის მსვლელობაში ლიბანის დელეგატმა შესწორება შეიტანა წინასწარ ღღის წესრიგში. მან მოითხოვა სიტყვებს „პალესტინის საკითხი“ დაემატოს სიტყვები „ირანის საკითხი“ ამასწინანდელი ირანელი ბატონების ამბიციებზე ისინი საბჭოში. ამასთან მალიქმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როცა სსრ კავშირის დელეგაციამ ამას წინათ წინადადება შეიტანა განეხილათ ტრიესტის საკითხი, მან ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი წინადადება, სახელდობრ: „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის დანიშვნის საკითხი“.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ არ არის იმის საფუძველი, რომ ლიბანის დელეგატს უარი ეთქვას თხოვნაზე — უფრო ზუსტად უთხრან, თუ რას გულისხმობს „პალესტინის საკითხი“. ასეთი დაზუსტება გაუადვილებს უშიშროების საბჭოს წევრებს მოემზადონ იმ საკითხის განსახილველად, რომელიც მხედველობაში აქვთ იმ წერილების ავტორებს, რომელნიც „პალესტინის საკითხის“ განხილვას მოითხოვენ. ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს, რომ „პალესტინის საკითხი“ შეიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილზეც უკვე მუშაობს გენერალური ასამბლეა.

შემდგომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებსა და ლიბანის წარმომადგენელს შორის ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა. ლიბანის წარმომადგენელმა არაერთხელ ითხოვა მიეცათ განმარტება იმის შესახებ, თუ პალესტინის საკითხის რა მხარეების განხილვა სურთ. ამაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლეოდნენ, გაურბოდნენ მომავალი განხილვის საგნის დაზუსტებას. ამ დისკუსიის მსვლელობაში ლიბანის დელეგატმა შესწორება შეიტანა წინასწარ ღღის წესრიგში. მან

საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ ეროვნული საბჭოს სესია

რომი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ ეროვნული საბჭოს ორი ღღის სესია. სესიის მონაწილეებმა განიხილეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია იტალიასა და სსრ კავშირს შორის კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოება და იტალიელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება.

სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს იტალიასა და სსრ კავშირს შორის კულტურული და სავაჭრო გაცვლის გაფართოებისაკენ.

თბილისი

ქალაქის ერეკლეულები

ბიბლიოთეკა

შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის

ამ ღღეებში თბილისში საქართველოს მოდელების სახლის სადემონსტრაციო დარბაზში მოეწყო საქართველოს და სომხეთის სს რესპუბლიკების სამკერვალო მრეწველობის საწარმოთა წარმომადგენლების დარგობრივი თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ორივე რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამკერვალო მრეწველობისა და მზა ტანსაცმლით მოვაჭრე მაღაზიების მუშაკები.

თათბირის მიზანი იყო შემოდგომა-ზამთრის მზა ტანსაცმლის ასორტიმენტისა და ხარისხის განხილვა.

თბილისის პირველმა, მეექვსე, მეშვიდე, ქუთაისის მეოთხე, ბათუმის მეხუთე სამკერვალო ფაბრიკებმა წარმოადგინეს შემოდგომა-ზამთრის ტანსაცმლის 110 მოდელი, მათ შორის 62 მოქმედია. სომხეთის სამკერვალო საწარმოებმა — 73 მოდელი.

თათბირმა საქართველოს სამკერვალო საწარმოების 66 მოდელი დაამტკიცა უშენიშვნოდ, 43 მოდელი დამტკიცდა ზოგიერთი ტექნოლოგიური შენიშვნით, ხოლო ხუთი სახე წარმოებიდან მოიხსნა, როგორც მოძველებული. მოდელების სახლს დაევალა მასობრივი წარმოებისათვის დაამუშაოს ბავშვის ტანსაცმლის შემოდგომა-ზამთრის რამდენიმე ახალი მოდელი.

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე რამდენიმე დღეა გრძელდება ზონალური შეჯიბრება ფეხბურთში ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

ზონალურ ასპარეზობაში მონაწილე გუნდებს 21 ოქტომბრისათვის ჩატარებული ჰქონდათ სამ-სამი შეხვედრა. წინ არიან საქართველოსა და უკრაინის გუნდები. პირველს 3 თამაშიდან შეგროვებული აქვს 5 ქულა, მეორეს — 2 შეხვედრიდან 4 ქულა.

უკანასკნელ შეხვედრებში, რომელიც 20 ოქტომბერს გაიმართა, სქართველთა გუნდმა მოუგო სომხეთის ფეხბურთელებს ანგარიშით 3:0, უკრაინის გუნდმა — მოლდავეთის ფეხბურთელთა კოლექტივს 7:1.

ლამა და ვარხვი

ამ ღღეებში თბილისის ზოოპარკმა მიიღო ლამებისა და ვარხვების ახალი ჯგუფი.

ლამა აქლემების ოჯახის წარმომადგენელია. მას უკუზო აქლემსაც უწოდებენ. ეს ცხოველი გავრცელებულია სამხრეთ ამერიკის მაღალმთიან ადგილებში. მისი სიმაღლეა 160 სანტიმეტრი, იწონის 60-75 კილოგრამს. ლამას ხორცი იჭმება. იგი ადვილად შინაურდება და ადამიანი მას ტვირთმზიდავ ცხოველად იყენებს. პერუს მცხოვრებლებს ეს ცხოველი დიდ სამსახურს უწევს, რადგან მას შეუძლია მაღალმთიან ძნელად გასავლელ ბილიკებზე, სადაც სხვა ცხოველი ვერ დადის, 50 კილოგრამი ტვირთით 20-ზე მეტი კილომეტრი გაიაროს დღის განმავლობაში.

თბილისის ზოოპარკში ეს ცხოველი 1933 წლის შემდეგ არ ყოფილა და მას დიდი ინტერესით ათვალიერებენ მნახველები.

ვარხვი დიდი ფრინველია. მისი სიგრძე ბოლოდან ნისკარტამდე 160 სანტიმეტრს აღწევს, წონა კი 11-12 კილოგრამს. ვარხვი ცხოვრობს კოლონიებად დედამიწის ტროპიკულ სარტყელში. ვარხვის რამდენიმე სახე ევროპის და აზიის სამხრეთ ნაწილშიც გვხვდება. ამ ფრინველისათვის დამახასიათებელია გრძელი ნისკარტი, რომლის ქვედა ნაწილზე მოთავსებულია ეგრეთწოდებული „პარკუჭი“, სადაც იგი საკვების მარაგს ინახავს. ვარხვის ძირითადი საკვებია თევზი, რომელსაც იგი მოხერხებულად იჭერს. ვარხვს შეუძლია 2-3-კილოგრამიანი თევზის გადაყლაპვა.

ზ. ჩლაიძე.

ზ ბ ნ ი ნ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რესპუბლიკურმა საბიბლიოთეკო კოლექტორმა მიმდინარე წელს რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს უკვე დაუგზავნა 1.200 სახელწოდების 1.200.000 მანეთის წიგნები — პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო ტექნიკურ-პოპულარული და სხვა ლიტერატურა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის რაიონებს მტს-ებისათვის სპეციალურად ეგზავნებათ ლიტერატურა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე.

ე. ჩერქეზიშვილის ხსოვნის საღამო

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ 19 ოქტომბერს მოაწყეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელისაბედ ჩერქეზიშვილის გარდაცვალების 5 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. ღამბაშიძემ. მოხსენება ე. ჩერქეზიშვილის შემოქმედების შესახებ წაიკითხა პოეტმა-აკადემიკოსმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. გრიშაშვილმა. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ა. ვასაძე, ა. წუწუნავა, ტ. აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, ე. ანდრონიკაშვილი, კ. გოგოძე, დ. ჩხეიძე.

ველომარგოლთა ასპარეზობა

თბილისში შეკრებას გადიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა უძლიერესი ველომრბოლები, რომელთა შორის არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, სპორტის ოსტატები.

19 და 20 ოქტომბერს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ველოდრომზე გაიმართა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოსა და თბილისის ნაკრები გუნდების ასპარეზობა. პროგრამით გათვალისწინებულ ველოსპორტის მეტ წილ სახეობებში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

ქალთა შორის გიტში 200 მეტრზე, სპრინტერულ რბოლაში 1 კილომეტრზე და გიტში 500 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავა კოპტიევამ.

ვაჟთა შორის გიტში 200 მეტრზე პირველი ორი ადგილი გაიყვეს თბილისელმა ჯოხაძემ და სემიონოვმა („სპარტაკი“). სპრინტერულ რბოლაში 1 კილომეტრზე და გიტში 1.000 მეტრზე გაიმარჯვა სოლოვიოვმა („სპარტაკი“). სპარტაკელებმა გაიმარჯვეს აგრეთვე გუნდურ ველორბოლაში.

ველომრავალჭიდში ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა კოპტიევა, ვაჟთა შორის — ჯოხაძე (თბილისი).

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება სემინარები ს. კ. კ. პ. ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის (სწავლების პირველი წელი) თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. სემინარებს უხელმძღვანელებენ პროფ. ს. ბერაძე და დოცენტი ი. შარაშენიძე.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ცხადდება კლიენტების საყურადღებოდ, რომ, „საქართველოს“ ტრესტის გასაღების ფუნქციები გადაეცა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ახლად ჩამოყალიბებულ „პარფიუმერვაჭრობის“ საქართველოს განყოფილებას, რომელიც მოთავსებულია ქ. თბილისში, ჩელუსკინელების ქ. № 14. საანგარიშსწორებო ანგარიში № 60015 სახბანკის თბილისის სტალინის რაიონის განყოფილებაში. ტელეფონი № 3-99-40.
„პარფიუმერვაჭრობის“ საქართველოს განყოფილება.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წლის 3 ნოემბერს ღღის 3 საათზე № 95 აუდიტორიაში (მეორე კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ვახტანგ გიორგის-ძე ციხისთავი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „წირთა ბრტყელი ბადეების პროექციული დეფორმაციების შესახებ“.
ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი გ. ბ. გურევიჩი, პროფესორი დოქტორი გ. ს. ჭოლოშვილი, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი ლ. გ. მაღნარაძე.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

22 ოქტომბერს	ჯ. ვერდი — ტრავიატა
23 ოქტომბერს	ჟ. ბიზე — კარმენი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი
22, 23, 24 და 25 ოქტომბერს
ჩინეთის და კორეის,
საბჭოთა ცირკის მსახიობების გამოსათხოვარი გასტროლები
და დიდი საცირკო პროგრამა
3 განყოფილებად
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.
ბილეთები იყიდება სატცირკის სალაროებში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება ქართული სცენის უხუცესი წარმომადგენლის ნინო როსტომის ასულ გამყრელიძის გარდაცვალებას.

დედა ნადია, მეუღლე გიორგი, შვილები ნინო, შოთა, ლენა, რძალი ეთერ, შვილიშვილები ლევან, ზურაბ, ქეთო, სიძე გ. გვენეტაძე ოჯახით იუწყებიან ელენე ივანეს ასულ ასტოვის გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-X, 4 ს. წყნეთში.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ავქსენტი გიორგის-ძე ფალავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-X მარანში (აბაშის რაიონი).

დედა მელანია, მეუღლე ლოლა, შვილი ლია, დები თამარ, სარა, ალექსანდრა, ძმა მაკარ, რძალი ეკატერინე, სიძეები გ. გვიჩია, მ. ძველაია, ა. მილორავა, ვ. ჭანტურია შვილებათ იუწყებიან ავქსენტი ფალავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-X ს. მარანში.

მშობლები ეკატერინე, ვარლამ, მეუღლე ფატი, შვილები ბორის, ლევან, ლანა იუწყებიან გრიგოლ ვარლამის-ძე იმედაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-X, 5 ს. ქ. წულუკიძეში, გამოსვლენება ჯორჯიაშვილის ქ. № 6.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა, უოფიცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-34, სახბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-88, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

УЕ 11072 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“

მკითხველთა დასახმარებლად

ვინ არიან ლობისტები?

ეურნალ-გაზეთებში, წიგნებში, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხება, ხშირად იხსენება სიტყვები „ლობი“, „ლობისტები“, „ლობიზმი“ და ა. შ. ბევრი რამ იწერება ფინანსური კაპიტალის ამ აგენტურის შავბნელი საქმიანობის შესახებ.

საიდან წარმოდგა ეს სიტყვა, ვინ არიან და რა საქმიანობას ეწევიან ლობისტები?

დიდი ხანია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონი პონოპოლისტები, ფინანსური კაპიტალის მაგნატები არიან. წინათ ისინი უხილავად, პოლიტიკური ნოქრების საშუალებით მართავდნენ ქვეყანას, თვითონ კი ინიღბებოდნენ, უშუალოდ არ ჩანდნენ. ისინი დიდად გვანდნენ ბალზაკის მოთხრობის „გობსეკის“ გმირს, რომელიც ამბობდა: „მე ადამიანთა გულში ვიხედები. ჩემთვის არაფერია დამალული. მას, ვინც ფულის ქისას ხსნის და კრავს, არაფერზე უარს არ ეუბნებიან. მე საკმაოდ მდიდარი ვარ იმისათვის, რომ ვიყიდო მათი სინდისი, ვინც მინისტრებს ეწარმართავს... ჩვენ ათიოდე კაცი ვართ, წყნარი და უცნობი მეფენი, თქვენი ბედის გამგებელნი“.

სულ სხვა არიან ახლანდელი მონოპოლისტები, ფულ-სტრატის მაგნატები. ისინი ჩუმი და უხილავი მბრძანებლები როდი არიან, პირიქით, ისინი გაშმაგებით მაისწრაფვიან პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ, რისთვისაც უშუალოდ ქმნიან ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ორგანოებს, ეპატრონებიან მთელ სახელმწიფო აპარატს. კორეაში ომის დაწყების შემდეგ მათ შექმნეს ასეთი ორგანოები: თავდაცვისათვის მობილიზაციის სამმართველო, თავდაცვითი მრეწველობის სამმართველო, წარმოების საკითხების სამმართველო, ეკონომიური სტაბილიზაციის სამმართველო, ხელფასისა და სხვ. სტაბილიზაციის საბჭო და ა. შ. ამ ორგანოებიანებს ხელმძღვანელებად მონოპოლისტებმა დასვეს თავიანთი თანამოსაგრეები ბიზნესის დარგში, ისეთები, რომლებსაც ფოლსტრიტზე მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავათ.

მონოპოლიები თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით წარმართავენ არჩევნებს, კონგრესში გზავნიან მათთვის სასურველ პირებს, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან და დაიკავებენ მათს ხარბ და ანგარებიან ინტერესებს. ახლანდელ სენატში და წარმომადგენელთა პალატაში მშრომელთა არც ერთი წარმომადგენელი არ არის. კონგრესის ორივე პალატის ნახევარზე მეტი ყოფილი იურისტებია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სამრეწველო და საფინანსო კორპორაციებთან; ერთი მესამედს შეადგენენ ბიზნესმ